ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 13 ივნისი, 2022 | №114 (8892) | ფასი: 80 თეთრი

## სალომე ზურაბიშვილი: „არც ივანიშვილს უნდა გადავყვეთ, არც სააკაშვილს და არც გვარამიას“



გვ.2

# „თეა წულუკიანი ქვეყანაში ძალიან ცუდი პროცესების სიმბოლოდ იქცა“



## ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნება“ იმპიჩმენტს ვერ დაიწყებს, მოქმედ პრეზიდენტს ვერაფერს ვერ უზამენ“



გვ.3

## წულუკიანი: „თუ ზურაბიშვილი სააკაშვილს და გვარამიას შეიწყალებს, ერი პასუხს მოსთხოვს“

გვ.2



## ნინო ლომჯარია: „ისტორია დაგიმახსოვრებთ ყველა უქნარას და მედროვეს“

გვ.2

## ავარიის შედეგად პანკისელი უხუცესის, ხასო ხანგოშვილის, ვაჟი გარდაიცვალა





გვ.5

## „ქართულმა ოცნებამ“ რეზოლუცია 5 ივლისის მოვლენებით და გვარამიას დაქერით გაიჩალიჩა“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ჩაატარონ არჩევნები და დავისვენებთ ყველანი. როგორ შეიძლება სულ ქუჩაში ვიდგეთ ყოველ ზაფხულს!“

## „საქართველოსთვის ბარიერების შექმნით, ევროკავშირის წარმომადგენლები წყალს ასხამენ რუსეთის წისქვილზე“



გვ.4

ანზორ აბრალავა: „საქართველოში გაკეთებული განცხადებებით არ წყდება კანდიდატობის საკითხი“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „არაერთი შეხვედრა, სატელეფონო საუბარი მქონდა ევროპელ ლიდერებთან“



გვ.3

1993230720223

**5** „მე მას სიკვდილამდე ვეხმარებოდი“ ანასტასია შატალოვას საქმეზე ბათუმის ყოფილმა ვიცე-მერმა ჩვენება მისცა

**6** მარიუპოლი ქოლერის დიდი აფეთქების საფრთხის წინაშეა

**5** ბულგარეთის ნაკრების 1 ავტობუსი თბილისში მეორეს შეეჯახა 1 ფეხბურთელი დაშავდა

**3** ბოლო 7 წელში საქართველოს მოსახლეობის დანახარჯები 3.5-ჯერ გაიზარდა

# „ქართულმა ოცნებამ“ რეზოლუცია 5 ივლისის მოვლენებით და გვარამიას დაჭერით გაიჩალიჩა“

## თორნიკე შარაშენიძე: „ჩაატარონ არჩევნები და დავისვენებთ ყველანი. როგორ შეიძლება სულ ქუჩაში ვიდგეთ ყოველ ზაფხულს!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, თქვენთვისაც ცნობილი იქნება ის რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა საქართველოსთან დაკავშირებით დაამტკიცა. რეზოლუციაში ღიად არის ხაზგასმული, რომ მოხდეს ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– მარტივად რომ ვთქვათ, ამას ჰქვია გაჩალიჩება საკუთარი თავისთვის. რომ არ დაეჭირათ გვარამია, ერთი წლის წინ რომ არ მომხდარიყო ეს 5 ივლისის დარბევა, დარწმუნებული ვარ, რომ რაც არ უნდა მოენდომებინა, ივანიშვილის მიმართ მტრულად განწყობილ ძალებს ევროპარლამენტში, ამას ვერ მიაღწევდნენ.

***– მტრულად განწყობილ ძალებში ვის გულისხმობთ?***

– ვგულისხმობ პირველ რიგში სახალხო პარტიას, რომლებიც ნაცმოძრაობის პარტნიორები არიან. გასაგებია, იმათ აქვთ ივანიშვილზე აგრესია. ისინი ვერ მოახერხებდნენ ამას, რომ არა ეს მოვლენები. განსაკუთრებით ახლა გვარამიას დაჭერა, რომელიც არაფერში არ ჯდება და მე ვერ გავიგე, ეს ყველაფერი ხელისუფლებას რაში სჭირდებოდა. რაც შეეხება მოწოდებას დასანქცირებაზე, არ მგონია, რომ ამ განცხადებებს დასანქცირება მოყვეს.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– იმიტომ, რომ არანაირი საფუძველი, არანაირი მტკიცებულება, რომ ივანიშვილს რაიმე კავშირი აქვს პუტინთან, არ არსებობს.

***– ამ სამხილების მოძიებაც შეგვიძლიაო, განაცხადეს ევროპარლამენტარებმა.***

– რაღაც არ მჯერა. ივანიშვილი იმდენად ფრთხილი ადამიანია, რომ არა მგონია, რომელიმე დეპუტატმა ეს მტკიცებულებები მოიძიოს.

***– მაშინ რას ნიშნავდა ეს რეზოლუცია და ეს განცხადებები?***

– ბუნებრივია, ეს იყო დარტყმა ივანიშვილზე. ასევე, მხარდაჭერა ნაცმოძრაობისთვის. თავისთავად ცხადია, რომ ასე იყო. სახალხო პარტია ნაცმოძრაობის მეგობარი პარტიაა. რატომ მოხდა ეს? იმიტომ მოხდა, რომ ეს თავად გაიჩალიჩა მმართველმა პარტიამ.



**„ზურაბიშვილმა შეიწყალოს გვარამია, არ ღირს ქვეყნის ხათაბალაში გახვევა. ბიძინა ივანიშვილს სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს ევროპარლამენტში, მათ შანსი მიეცათ მის წინააღმდეგ გამოსვლის და ეს შანსი გამოიყენეს. ოლიგარქადაც მოიხსენიეს.“**

***– „ქართულმა ოცნებამ“ თავადვე დაუშვა შეცდომები, ამის თქმა გინდათ?***

– რასაკვირველია! იმიტომ, რომ ეს ხათაბალა, რომელშიც შარშან გაეხვა მმართველი პარტია და პრინციპში, ქვეყანაც 5 ივლისის მოვლენების გამო, ხომ შეიძლებოდა რომ ეს არ მომხდარიყო და აეცილებინათ თავიდან მარტივად. გვარამიას დაპატიმრებაც შეიძლებოდა აეცილებინათ თავიდან.

***– ამ ყველაფრის შემდეგ, როდესაც ასე გაკრიტიკებენ, ხელისუფლების მხრიდან ასეთი ხისტი განცხადებები რამდენად სწორია? გამოდის კობახიძე და აცხადებს, ამ ყველაფერს ჩალის ფასი აქვსო.***

– რა საჭიროა, რომ ევროპარლამენტარები ლანძღო, ხომ უნდა დაფიქრდე, არა?! რეზოლუცია რომ მიიღეს, მერე რაღაცით ხომ უნდა ეპასუხათ. ამ რეზოლუციამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე.

***– ისე ამზადებდნენ ნიადაგს, რომ მე მგონი, ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მსგავსი რამ მოხდებოდა.***

– ვერ გეტყვით. შესაძლოა ჰქონდათ კიდეც.

***– დიმიტრი ხუნდაძის განცხადებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ის აცხადებს, რომ ამ რეზოლუციის მიღებით, საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგაო, რა განსხვავებაა, ვინ იქნება ჩვენი მბრძანებელიო.***

– ხუნდაძე ალბათ არ გამოხატავს „ქართული ოცნების“ პოზიციას. გაკეთდა კიდეც „ოცნებიდან“ განცხადებები, როგორც ვნახეთ.

***– სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა ჩართვა ბელგიიდან. ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მას ხელისუფლება პრობლემებს უქმნის და ხელისუფლება არ არის ჩემს გვერდით ამ საკითხშიო. რა ხდება, ბატონო თორნიკე? რას ნიშნავდა მისი განცხადებები? საბოლოოდ გაემიჯნა „ქართულ ოცნებას“?***

– არა მგონია, ასე მარტივად გაემიჯნოს. იმედი მაქვს, რომ დალაგდება მათ შორის ურთიერთობა. როგორც არასდროს, ისეა საჭიროა, რომ პრეზიდენტმა და აღმასრულებელმა შტომ ერთად იმუშაოს.

***– პრეზიდენტის განცხადებით, მას კიდევ ჰქონდა მცდელობა, რომ ჩასულიყო უკრაინაში, პოლონეთში, საფრანგეთში, მაგრამ ხელისუფლებისგან კატეგორიული უარი მივიღეო. მე მარტო ვიბრძვი ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვისო. რას ნიშნავდა მისი განცხადებები?***

– საფრანგეთში ხომ იყო ჩასული?! მე არ მგონია, რომ სალომე მარტო იბრძოდეს. სხვებიც დადიოდნენ ევროპაში. პრეზიდენტი ცოტას აზვიადებს. ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები პრეზიდენტს.

***– ასეთი მკაცრი რეზოლუციის შემდეგ, რა მოლოდინი გაქვთ? გვექნება კანდიდატი ქვეყნის სტატუსი?***

– ალბათ გვექნება, მაგრამ დათქმით და პირობებით. მე ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. გაცილებით მძიმე სიტუაციაშია უკრაინა. უკრაინას კანდიდატობის სტატუსი რომც მისცენ, რა, მერე? შევა ევროკავშირში? ომი მიდის ქვეყანაში. რეალურად ჩვენთან ისეთი სასწაული არაფერი არ არის, რომ მოგვცენ ჩვენ კანდიდატის სტატუსი პირობით, მართალი გითხრათ, ამაშიც ვერანაირ ტრაგედიას ვერ ვხედავ. მთავარია, მერე რა მოხდება, „ოცნების“ შემდეგ! აი ესაა მთავარი.

***– როგორ ფიქრობთ, საქართველოში დაბრუნებული სალომე ზურაბიშვილი ხომ არ შეიწყალებს ნიკა გვარამიას?***

– ამას თუ გააკეთებს, საბოლოო ჯამში, კარგს იზამს. თუნდაც „ქართული ოცნებისგან“ დაუკითხავად გააკეთოს, საბოლოო ჯამში, კარგს იზამს, იმიტომ, რომ სალაპარაკოს გამოაცლის იმათ, ვინც კრიტიკულადაა განწყობილი ჩვენ მიმართ ევროკავშირში. გვარამიას გამო არ ღირს ქვეყნის ხათაბალაში გახვევა. ბიძინა ივანიშვილს სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს ევროპარლამენტში, მათ შანსი მიეცათ მის წინააღმდეგ გამოსვლის და ეს შანსი გამოიყენეს. ოლიგარქადაც მოიხსენიეს.

***– რისი თქმა გინდათ, რომ ივანიშვილის დასანქცირებაზე საუბარი ნაადრევია?***

– ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის მოქალაქეა და ეს ხომ არ ავიწყდებათ?! კი არის პრეცედენტი, რომ დაასანქცირეს აბრამოვიჩი, რომელიც ბრიტანეთის მოქალაქე იყო, თუმცა აბრამოვიჩს პირდაპირი კავშირები ჰქონდა პუტინთან და ეს ყველამ იცოდა.

***– იქნებ ივანიშვილსაც აქვს?***

– ყოველ შემთხვევაში, ეს კავშირები არ ჩანს არანაირად. ამასაც ხომ დამტკიცება უნდა.

***– თუკი სტატუსს ვერ მივიღებთ, ეს საზოგადოებაში სერიოზულ პროტესტს გამოიწვევსო.***

– გამოიწვიოს, დაინიშნება ვადამდელი არჩევნები და ამით ყველა და ყველაფერი დაწყნარდება. რევოლუცია რომ არ მოხდება ქვეყანაში, ესეც ვიცით, ხომ. ჩაატარონ არჩევნები და დავისვენებთ ყველანი. როგორ შეიძლება, სულ ქუჩაში ვიდგეთ ყოველ ზაფხულს! მე მგონი, ოპოზიციას გააზრებული არა აქვს, დღეს ვის აწყობს ვადამდელი არჩევნები.

## სალომე ზურაბიშვილი: „არც ივანიშვილს უნდა გადავყვეთ, არც სააკაშვილს და არც გვარამიას“

არ მჯერა, რომ რამე სხვა მომავალი არსებობდეს საქართველოსთვის თუ არა ევროპული მომავალი, არ მიმაჩნია, რომ ვინმეს უნდა გადავყვეთ ამ პროცესის წინ წასვლაში, არც სააკაშვილს, არც გვარამიას და არც ბიძინა ივანიშვილს.



ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ბრიუსელიდან ჩართვაში განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ის წყვეტს ვიზიტს და ბრუნდება საქართველოში, რათა ქვეყნის მომავალი დაიცვას.

– მე არ მჯერა, რომ რამე სხვა მომავალი არსებობდეს საქართველოსთვის თუ არა ევროპული მომავალი. მე არ მიმაჩნია, რომ ვინმეს უნდა გადავყვეთ ამ პროცესის წინ წასვლაში, არც სააკაშვილს, არც გვარამიას და არც ბიძინა ივანიშვილს.

არავინ არ არის იმის ფასად, რომ ჩვენი ბავშვების მომავალი არ დავიცვათ. ამისთვის ვბრუნდები საქართველოში და იქ დავიცავ ამ მომავალს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

## წულუკიანი: „თუ ზურაბიშვილი სააკაშვილს და გვარამიას შეიწყალებს, ერი პასუხს მოსთხოვს“



თუ პრეზიდენტი მიიღებს უსამართლო გადაწყვეტილებას, რომელსაც კრიმინალების შეწყალება ჰქვია, შემდეგ არ უნდა შეწუხდეს, თუ ქართველი ერი ამისთვის პასუხს მოსთხოვს.

ამის შესახებ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, უნდა შეიწყალოს თუ არა პრეზიდენტმა „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

– ის [ნიკა გვარამია] ვერ გათავისუფლდება, სანამ ყველა არ მოიხდის იმ სასჯელს, რაც უნდა მოიხადოს. პრეზიდენტმა გადაწყვიტოს ის, რაც მისი გადასაწყვეტია და შემდეგ ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტილებისთვის, ყველა აგებს პასუხს. პრეზიდენტს შეიძლება საგარეო პოლიტიკაში ბევრი ფუნქცია არ აქვს, ასევე არ აქვს თითქმის არავითარი ფუნქცია ჩვენს საშინაო პოლიტიკაში. მაგრამ შეწყალება არის 100%-ით მის ხელში, ამიტომ ველით, რას იზამს ქალბატონი პრეზიდენტი.

თუ ის მიიღებს უსამართლო გადაწყვეტილებას, რომელსაც კრიმინალების შეწყალება ჰქვია, შემდეგ არ უნდა შეწუხდეს, თუ ქართველი ერი ამისთვის პასუხს მოსთხოვს. ძალიან ბევრი დანაშაულისთვის ზის ციხეში თქვენი ბელადი, მიშა და ასევე ნიკა გვარამიაც ბევრი დანაშაულისთვის ზის ციხეში. ის თუ გვიყურებს, მინდა ვუთხრა, რომ ნამდვილად არის იქ, სადაც უნდა იყოს, – განუცხადა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს.

## ნინო ლომჯარია: „ისტორია დაგიმახსოვრებთ ყველა უქნარას და მედროვეს“

ისტორია დაგიმახსოვრებთ ყველა უქნარას და მედროვეს, ვინც ახლა მთავრობაში ან პარლამენტში ხართ და მშვიდად უყურებთ, როგორ ნადგურდება ჩვენი უკეთესი მომავლის პერსპექტივა“ – ასე აფასებს საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომელიც საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას შეეხება.



ნინო ლომჯარიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება (მთავრობა, პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება) უკვე არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, როდესაც არ ასრულებს ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს დემოკრატიული რეფორმების განსახორციელებლად.

„ისტორია დაგიმახსოვრებთ ყველა უქნარას და მედროვეს, ვინც ახლა მთავრობაში ან პარლამენტში ხართ და მშვიდად უყურებთ, როგორ ნადგურდება ჩვენი უკეთესი მომავლის პერსპექტივა და ამას არათუ ხელს უშლით, არამედ ამართლებთ და ეფარებით“ – წერს ნინო ლომჯარია ფეისბუქში.

## ეკა ბესელია: „ოხანაშვილს ძლივს ვასწავლე, რომ ევროსაბჭო და ევროკავშირი სხვადასხვა რამეა-თქო“

„უბედურ ანრი ოხანაშვილს ძლივს ვასწავლე, რომ ევროსაბჭო და ევროკავშირი სხვადასხვა რამეა-თქო“ – ამის შესახებ ეკა ბესელიამ „გიორგი ნიორაძის დღის ამბებში“ განაცხადა.




ბესელიამ კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა:

– იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვინ არის? ეს უბედური ოხანაშვილი ბორჯომში, ერთ-ერთ კონფერენციაზე, ევროსაბჭოს ღონისძიება მაქვს. ჩამოსულია დიდი დელეგაცია. პირველად გავაკეთე პარლამენტში საზედამხედველო მექანიზმი ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის და ეს კანონი მივიღეთ. ჩამოსულია ევროსაბჭოს დელეგაცია, გამოდის ოხანაშვილი და „ევროკავშირი, ჩვენი მეგობარი“. „ვწერ მესიჯს: ბიჭო, ევროსაბჭოა, ევროსაბჭო!“ მერე მივხვდი, რომ ვერ არკვევს, არ იცის. ეს ხალხია დღეს ქვეყნის სადავეებთან, – განაცხადა ბესელიამ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „თეა წულუკიანი ქვეყანაში ძალიან ცუდი პროცესების სიმბოლოდ იქცა“

## ლევან ალაფიშვილი: „ქართული ოცნება“ იმპიჩმენტს ვერ დაიწყებს, მოქმედ პრეზიდენტს ვერაფერს ვერ უზამენ“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, უკრაინასთან დაკავშირებით ევროკავშირი ისტორიული გადაწყვეტილების ზღვარზეა. როგორია თქვენი მოლოდინი, საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს?***

– მძიმე რეზოლუციის მიუხედავად, რომელიც ევროკავშირის მხრიდან გახდა ცნობილი, საქართველოსთვის არავის უთქვამს, რომ წევრობის კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ. პირიქით, ევროპა გვეუბნება, დაგეხმარებით, გაატარეთ რეფორმები. სასამართლო იყოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანაში. არჩევნები უნდა ჩაატაროთ ისეთი, როგორიც უნდა იყოს თავისუფალი ხალხის არჩევანი და არა ვალების ჩამოწერით მიღებული შედეგები.

ევროკავშირის ოჯახის წევრი რომ გავხდეთ, ეს უნდა გავაკეთოთ. არავის უთქვამს, არ დაგეხმარებით, ცუდები ხართ, არ იმსახურებთ ჩვენი ოჯახის წევრობას. ეს არავის უთქვამს. ყოვლად დაუშვებელია ევროპის დისკრედიტაცია, რომელიც რეზოლუციას მოჰყვა. იმ სამართლიან კრიტიკას მოჰყვა, რომელიც დავიმსახურეთ. რა, ჩვენმა საზოგადოებამ განა არ იცის, რომ სასამართლოში ისე ვერ არის საქმე, როგორც უნდა იყოს. რა, განა არ ვიცით, რომ ვერ ვატარებთ ისეთ არჩევნებს, რომელზეც კითხვები არ გაჩნდეს შინ თუ გარეთ?! ეს კრიტიკა ხომ არ არის საფუძველს მოკლებული?!

განა არ უნდა მიმხვდარიყო ხელისუფლება, რომ მიშელის შეთანხმების დარღვევას ეს მოყვებოდა?! სწორედ ეს შედეგი არის რეზოლუცია, კრიტიკული რეზოლუცია.

***– თითქოს ხელისუფლება ყველა სცენარისთვის ემზადება. როგორც ჩანს, უშვებენ, რომ შეიძლება ვერ მივიღოთ სტატუსი.***

– ამ საკითხს ორი განზომილება აქვს. ერთი საშინაო და ერთი საგარეო. ამ ბოლო დროს სწორედ ამას ვადევნებთ თვალყურს. ისტორიულ გზაგასაყარზე ვართ. ამიტომ, ის ვიწროპარტიული მოქმედებები და ინტერესები, რომელსაც ახლა ვადევნებთ თვალყურს, სრულიად დაუშვებელია. ისტორია ამ პოლიტიკოსებს ისე მოისვრის ისტორიის სანაგვეზე, რომ ვერც კი გააცნობიერებენ, რეალურად რა მოხდა.

***– მოქალაქეების 80 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს ევროკავშირისკენ სწრაფვას. როგორ ფიქრობთ, უარის შემთხვევაში, ეს ხალხი გაბრაზდება თუ შეეგუება?***

– მეც ძალიან გავბრაზდები, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, რომ ვერ შევძელი ამ ქვეყნის ხელისუფლება უფრო პასუხისმგებლიანი ყოფილიყო, რომ თავისი კომფორტის ზონიდან გამომეყვანა. ამ პასუხისმგებლობას ვიგრძნობ. მთავრობა ყოველთვის იმ კომფორტის ზონაშია, რომელსაც მას ხალხი უქმნის. ამიტომ, მე ჩემ წილ პასუხისმგებლობას ვხედავ თუნდაც იმაში, რომ სასამართლო უფრო თავისუფალი არ არის.

***– პრეზიდენტისა და მთავრობის დაპირისპირებაზე მინდა გკითხოთ. თეა წულუკიანმა სალომე ზურაბიშვილზე თქვა – მთავარია მოცემულმა სიმბოლომ კარგად გაიაზროს, რას ნიშნავს იყოს სიმბოლო, გქონდეს სიმბოლური როლი. მოქმედი პრეზიდენტი მხოლოდ სიმბოლოა?***

– არა, რა თქმა უნდა! სამწუხაროა, რომ თავად თეა წულუკიანი იქცა ძალიან ცუდი პროცესების სიმბოლოდ ამ ქვეყანაში. ქვეყანაში, სადაც ტრადიციულად ქალის როლი და დანიშნულება სრულიად სხვაა, სადაც ქალი შემრიგებელია, მშვიდობისმყოფელია. წულუკიანმა ამ თავის ცნობილ განცხადებაში გარდა იმისა, რომ სიმბოლურ დატვირთვაზე მიუთითა სალომე ზურაბიშვილს, ასევე უთხრა, ქართველი ხალხი ადვილად არ ივიწყებს ძალადობასო. ამით იცით რა უთხრა, ხომ კარგად გახსოვთ, არჩევნების პირველსა და მეორე ტურს შორის მომხდარი ამბებიო. ამიტომ, ჭკვიანად იყავი, გახსოვდეს, რომ ქვეყნის კი არა პარტიის პრეზიდენტი ხარო. ეს შინაარსი იდო მის ამ განცხადებაში.



***– რა მოლოდინი გაქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე?***

– დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ წააგებს ამ სარჩელს. თითქოს სახელისუფლო შტოებს შორის კომპეტენციებზე დავაა, მაგრამ რეალურად ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ დაწყებული კვაზი იმპიჩმენტი. მოგეხსენებათ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია სამართლებრივად პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების განსაზღვრის მოთხოვნით მიმართა, იმპიჩმენტს გვერდი აუარა. რაც არ უნდა მოხდეს, სასამართლო კოლეგიამ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, მოქმედ პრეზიდენტს ვერაფერს ვერ უზამენ. კონსტიტუციის დარღვევაც რომ დააფიქსიროს კოლეგიამ, რას იზამენ, იმპიჩმენტის პროცედურას დაიწყებენ?! ვერ დაიწყებენ. ვერაფერს უზამენ, სალომე ზურაბიშვილს თავისი ცოდვები ეყოფა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „არაერთი შეხვედრა, სატელეფონო საუბარი მქონდა ევროპელ ლიდერებთან“

საგარეო პოლიტიკას, ასევე საშინაო პოლიტიკას ახორციელებს მთავრობა, ესაა კონსტიტუციით დადგენილი და, რა თქმა უნდა, ყველამ პატივი უნდა სცეს ამ წესებს და კანონებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერის თქმით, პირადად მან და საგარეო საქმეთა მინისტრმა არა ერთი შეხვედრა გამართეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებთან, რომლის ფარგლებშიც ისაუბრეს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით და წარდგენილ განაცხადზე.

– მინდა, ყველას შევახსენო, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაიწყო ეს პროცესი, ომის დაწყების დღიდან, პირველივე დღიდან, მას შემდეგ, რაც სამ მარტს, იცით, რომ მე ხელი მოვაწერე განაცხადს, რომელიც წარვადგინეთ ბრიუსელში, არა ერთი შეხვედრა, რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის პირადი შეხვედრები, სატელეფონო საუბარი, მქონდა, გახსოვთ თქვენ, ევროპელ ლიდერებთან. მათ შორის იმ ქვეყნების ლიდერებთან, რომლებსაც, ეს საჯარო ინფორმაციაა, განსაკუთრებული სკეპტიციზმი აქვთ ზოგადად ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით, ეს ერთი. ამას გარდა, მე პირადად ვიყავი ჩასული ბრიუსელში, ვესაუბრე ყველა ხელმძღვანელ პირს, მივიღე მონაწილეობა არა ერთ შეხვედრაში, სხვადასხვა ფორმატში და, რა თქმა უნდა, მე საჯაროდ, მათ შორის, დავოსის ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, გვქონდა საუბარი ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. ასევე, ახლა, მოგეხსენებათ, ბრატისლავაში ვიმყოფებოდი, სადაც ვისაუბრე ამ პერსპექტივაზე, რომელიც უკავშირდება განაცხადის შეტანას და საგარეო საქმეთა მინისტრს ჰქონდა 20 შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ჩვენ, პრაქტიკულად, ყველა, ასე ვთქვათ, ქვეყანა დავფარეთ, ყველასთან გვქონდა აქტიური მუშაობა, აქტიური. პირადად მე და მთელი საგარეო გუნდი, მთელი ჩვენი ელჩები, დიპლომატიური კორპუსი იყო ჩართული ამ პროცესში. საგარეო პოლიტიკას, ასევე საშინაო პოლიტიკას ახორციელებს მთავრობა, ესაა კონსტიტუციით დადგენილი და, რა თქმა უნდა, ყველამ პატივი უნდა სცეს ამ წესებს და კანონებს, – აღნიშნა პრემიერმა.

# დიმიტრი ხუნდაძე: „თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას“




თუკი საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ისეთივე უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, როგორი უსამართლო ბრალდებებიც რეზოლუციაში იყო ასახული, მაშინ ქვეყანამ საპასუხოდ სამართლიანი უარი უნდა თქვას.

ასეთია „ქართული ოცნების“ დეპუტატის დიმიტრი ხუნდაძის პოზიცია.

დეპუტატი აღნიშნავს, რომ „არანაირი სტატუსის ფასად არ ღირს ქვეყნის ღირსების დათმობა“.

– მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით ქართული ოპოზიციის ანტისახელმწიფოებრივი მუშაობის შესახებ ევროპაში, ევროპარლამენტის რეზოლუციამ ყველა ზღვარს გადააბიჯა. ეს იყო ღია შეურაცხყოფა ქართველი ხალხის. უფრო მეტიც, ასეთი უსამართლო ევროპა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ჯერ არ გვინახავს. სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ!

ევროკავშირის შექმნამდე, ევროპის ჩამოყალიბებაში საქართველოს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. დღეს, სწორედ ევროპული ღირებულებების ერთ-ერთ შემქმნელ სახელმწიფოს თანამედროვე ევროპა დამამცირებლად გვექცევა. ევროკავშირის კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ ეს გაერთიანება უნდა ეფუძნებოდეს თანასწორობის პრინციპს. და რა ვნახეთ გუშინ? ვნახეთ ქედმაღლურად დამყურე ევროკავშირის ქვეყნები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებდნენ ევროპული ოჯახის ერთ-ერთ უძველეს ცივილიზებულ სახელმწიფოს. ჩვენ ამისთვის არ გვიშრომია არც მე-19 საუკუნეში და არ გვიბრძოლია არც ბოლო ათეული წლები.

გუშინდელ დღეზე ქართველი ხალხის განრისხება სამართლიანია. საქართველოს ისტორია თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. გუშინდელი დღე არ იყო დემოკრატიის და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების დემონსტრირება. პირიქით, გვქონდა განცდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა. რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?! დიახ, სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა და მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანის უარყოფა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობაა.

ვერც ბიძინა ივანიშვილს და ვერც ქართულ სახელმწიფოს სანქციების მუქარით ვერავინ შეაშინებს. პირიქით, გუშინდელმა დღემ ლამის დაანგრია ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი. ეს სახიფათო პოლიტიკური თამაშია. დღევანდელმა გლობალურმა პროცესებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ ევროკავშირის წევრობა არ არის მხოლოდ საქართველოს მომავლის პერსპექტივა, ეს თავად ევროპის პერსპექტივაც არის.

რაც შეეხება ევროკავშირის მოახლოებულ გადაწყვეტილებას, თუკი საქართველო კანდიდატის სტატუსს ისეთივე უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, როგორი უსამართლო ბრალდებებიც რეზოლუციაში იყო ასახული, მაშინ ქვეყანამ საპასუხოდ სამართლიანი უარი უნდა თქვას, – განუცხადა დიმიტრი ხუნდაძემ „ინტერპრესნიუსს“.

# ბოლო 7 წელში საქართველოს მოსახლეობის დანახარჯები 3.5-ჯერ გაიზარდა

„ბოლო 7 წლის განმავლობაში მოსახლეობის დანახარჯები 3.5-ჯერ არის გაზრდილი“, – ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ახალი კვლევით ხდება ცნობილი.

კვლევის თანახმად, აღნიშნულს მცირედით ასტიმულირებს ტურიზმის ზრდა, თუმცა ტურიზმის ჯამური წილი დანახარჯებში 10%-ზე ნაკლებია. მოსახლეობის დანახარჯების მკვეთრი ზრდა, ძირითადად, მაღალი ინფლაციით არის გამოწვეული საკვებზე, სასმელსა და თამბაქოზე.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევით ირკვევა ისიც, რომ იმ მაღაზიების ბრუნვა, რომლებიც პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობით არიან დაკავებული, 8 მილიარდ ლარს აღწევდა 2021 წელს. ბაზრების, ბაზრობების და სხვა გარე ვაჭრობის ობიექტების გათვალისწინებით, პირველადი მოხმარების საქონლის ბაზრის შემოსავლები კი 10 მლრდ ლარს აჭარბებს.

„ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობაში ორგანიზებული მოთამაშეების შემოსავლების ზრდა მკვეთრად აღემატება ჯამურად მაღაზიების შემოსავლების ზრდას (ბაზრებისა და ბაზრობების გარეშე). ვფიქრობთ, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მეტად მოხდება ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია, რომელიც უფრო მეტად ჩაანაცვლებს არაორგანიზებულ ბაზარს“ – წერია კვლევაში.

# სააკაშვილი: „აფხაზებს ქართველთა და აფხაზთა საერთო სახელმწიფო უნდა შევთავაზოთ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, აფხაზებს ადმინისტრაციული ცენტრით ქუთაისში საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაციის შექმნა უნდა შევთავაზოთ. ამის შესახებ სააკაშვილის გზავნილი მის ფეისბუქ გვერდზე გავრცელდა, სადაც ის აფხაზებთან გაერთიანებაზე საუბრობს და ამბობს, რომ საქართველოსთან ერთად აფხაზეთს შეუძლია გახდეს ფედერაციის სრულფასოვანი სუბიექტი და ევროკავშირის ნაწილი განვითარებისა და იდენტობის დაცვის სრული გარანტიებით.

„უახლოეს პერიოდში, უკრაინის გამარჯვების შემდეგ, ჩვენ არა მხოლოდ ევროკავშირში შევალთ, არამედ, უნდა შევძლოთ დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან მოლაპარაკება. რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანასთან ერთად, ცხინვალის საკითხი თავისით მოგვარდება – ვინც წასასვლელია, წავა და ვინც დარჩება, იმათთან გასაყოფი ჩვენ არაფერი გვაქვს.

უფრო რთულადაა სიტუაცია აფხაზეთთან. იქ ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე სამაჩაბლოში და გაუცხოების ხარისხიც უფრო მაღალია.

ჩვენ, ჩემი აზრით, მათ უნდა შევთავაზოთ ქართველთა და აფხაზთა საერთო სახელმწიფოს, საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაციის შექმნა ადმინისტრაციული ცენტრით ქუთაისში. ამ სახელმწიფოში იარსებებს ორმაგი მოქალაქეობა, რაც ნიშნავს, რომ აფხაზეთის მოქალაქე ავტომატურად იქნება საქართველოს მოქალაქე და დანარჩენი საქართველოს მოქალაქე არ იქნება ავტომატურად აფხაზეთის მოქალაქე. ამით მოვუხსნით აფხაზებს ასიმილაციის შიშს. ორივე – ქართული და აფხაზური იქნება სახელმწიფოს ოფიციალური ენები. ქუთაისში, პარლამენტი იქნება ორპალატიანი და ზედა პალატაში ფედერაციის ორივე სუბიექტს ექნება თანაბარი წარმომადგენლობა. აფხაზეთის პრეზიდენტი ყოველთვის იქნება საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი.



უნდა მოხდეს გარდამავალი პერიოდის აღება (ვთქვათ, 3-5 წელი), რომლის განმავლობაშიც მოხდება შეიარაღებული ძალების, საბაჟო და სასაზღვრო სამსახურის ინტეგრირება. რა თქმა უნდა, ფედერაციის შიგნით უნდა იყოს სრულად თავისუფალი გადაადგილება და საერთო უსაფრთხოების რეჟიმი.

წამოვლენ თუ არა ამაზე აფხაზები? – ბოლო ათწლეულებმა კარგად აჩვენა, რომ აფხაზეთს საერთაშორისო აღიარების შანსი არ აქვს. საქართველოსთან ერთად კი ჩვენი შემოთავაზებული მოდელით მას შეუძლია გახდეს ფედერაციის სრულფასოვანი სუბიექტი და ევროკავშირის ნაწილი განვითარებისა და იდენტობის დაცვის სრული გარანტიებით.

ჩვენ უკვე უნდა განვიხილავდეთ და ვკამათობდეთ ასეთ თემებზე, რათა მზად ვიყოთ დიდი ცვლილებებისთვის და ისტორიული შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ჩემი გათვლებით, აფხაზეთთან გაერთიანების პირობებში, 3-4 წელიწადში საქართველოს ერთიანი ეროვნული პროდუქტი 2-3-ჯერ გაიზრდება, რაც დაეტყობა თითოეული ქართული და აფხაზური ოჯახის კეთილდღეობას. აფხაზეთთან ერთად მთელ საქართველოს ფედერაციას შეეძლება 6-7 წელიწადში ტურისტების რაოდენობის 20 მილიონამდე გაზრდა. დაიწყება საპორტო ინფრასტრუქტურის ბუმი, იქნება ბევრი სხვა სარგებელიც“ – აღნიშნავს მიხეილ სააკაშვილი.

# „საქართველოსთვის ბარიერების შექმნით, ევროკავშირის წარმომადგენლები წყალს ასხამენ რუსეთის წისქვილზე“

## ანზორ აბრალავა: „საქართველოში გაკეთებული განცხადებებით არ წყდება კანდიდატობის საკითხი“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს საზოგადოებას, რომელიც ევროკავშირიდან პასუხის მოლოდინშია, საფიქრალი გაუჩინა ევროპარლამენტის მიერ საქართველოს საკითხზე კიბულმა რეზოლუციამ, ასევე გამოხმაურებებმა ამ რეზოლუციაზე. „ქართული ოცნების“ ლიდერების, წევრებისა და მათი მომხრეები კომენტარებში ამ საკითხზე ანტიდასავლური ნოტები გაისმა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას**



***– ევროპარლამენტის რეზოლუციაზე მმართველი გუნდისა და მისი მომხრეების გამონათქვამებს თუ შევაჯამებთ, გამოვა ამ შინაარსის პასუხი – „არ გვინდა ასეთი ევროკავშირი“. პრემიერმა რეზოლუციას უსამართლო უწოდა და მომავალში არ გამორიცხა გარკვეული ძალების მხილება. ამ დროს საქართველოს მოსახლეობის სურვილია, ქვეყანა გახდეს ევროკავშირის კანდიდატი, შემდეგ – წევრი.***

– საკითხი რთულია, არც კონტექსტია მარტივი. სამწუხაროა, რომ საქართველოს ახალ-ახალ ამოცანებს უსახავენ, ახალ ბარიერებს უქმნიან ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

***– გადაწყვეტილება არ ყოფილა. ახალი პირობები არ წამოყენებულა. ველოდებით ევროკომისიის დასკვნას, რასაც შემდეგ მოჰყვება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება. თქვენ ევროპარლამენტის კრიტიკულ რეზოლუციაში დაინახეთ ახალი ამოცანები?***

– კრიტიკის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ კრიტიკასაც ხომ გააჩნია?! ამ რეზოლუციაში დავინახე ახალი ამოცანები, დავალებები და დაბრკოლებები. როგორც გითხარით, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას სვლის პროცესს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატობისაკენ ახლავს ურთულესი კონტექსტი. ამჟამად მიმდინარეობს აშშ-რუსეთის დაპირისპირება, რისი გამოვლინებაცაა ომი უკრაინაში. ევროკავშირი, საუბედუროდ, ყოველთვის იყო ბიუროკრატიული ორგანიზაცია. პირადად მე წინა წლებშიც ვამბობდი, რომ დროა, საქართველო მიიღონ ევროკავშირში. მიღებაზე კი არა, კანდიდატობაზე გვექმნება წინაღობები. აგერ, უკრაინამაც კიდევ ერთი განცხადება გააკეთა სამეულზე – საქართველოსა და მოლდოვასთან ნუ გაგვაიგივებთ, უკრაინაზე ცალკე იმსჯელეთო.

***– ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ამ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ უკრაინას იმდენად არ ეჯიბრება, რამდენადაც მოლდოვას.***

– გადავხედოთ ჩვენს უახლოეს ისტორიას. რატომ არ უნდა ჩაგვაყენონ განსაკუთრებულ მდგომარეობაში?! 1991 წელს გადატრიალება გადავიტანეთ, 1993 წელს რუსეთმა აფხაზეთი (დროებით) დაგვაკარგვინა, 2008 წლის მოვლენები ახლახან იყო. ბევრი სისხლი დავღვარეთ. ამიტომ, საქართველოც უნდა იყოს განსაკუთრებულ მდგომარეობაში. უნდოდათ, საქართველოში ახლაც გახსნილიყო ცეცხლი რუსეთის წინააღმდეგ.

***– ამჟამად საქართველოში ფრონტის გახსნა მოიტანს საქართველოს მარცხს. რუსეთის გამარჯვება დასავლეთს არ აწყობს.***

– რუსულ სცენარებზეც ვიფიქროთ. კრემლი არ მალავს, რომ უნდა იმპერიის, ცარისტული რუსეთის საზღვრების აღდგენა. პუტინი ლაპარაკობს პეტრე პირველზე, მას ბაძავს. რუსეთს უნდა გაეხსნას ხელ-ფეხი იმისათვის, რომ დაამყაროს კონტროლი მეზობელ ქვეყნებზე, შავი ზღვის აკვატორიაზე. ამის პარალელურად, აშშ-ს რუსეთის დასუსტება სურს.

***– ამ სიტუაციაში დასაჩქარებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაცია ევროკავშირში?***

– რასაკვირველია. ამის მაგივრად რას გვეუბნება ევროპარლამენტი? ისეთ რამეს, რასაც საფუძველი არა აქვს. თურმე, საქართველოში მედია არ ყოფილა თავისუფალი. ეს ხომ ასე არ არის! საქართველოში მედიის თავისუფლება არსებობს.

***– ტელევიზიის მენეჯერი ნიკა გვარამია ციხეში გაუშვეს ისეთი დანაშაულისათვის, რის გამოც სხვებს არ აპატიმრებენ.***

– არავისი პატიმრობა არ მახარებს. საქართველოს არ უნდა მიანიშნონ, რომ გვარამიას და სააკაშვილის საქართველო იყო დემოკრატიული, საქართველოსა და ამ ორ ადამიანს შორის ტოლობა არ უნდა დასვან. საქართველო არ არის გვარამია და სააკაშვილი. იმასაც ნუ მოუწოდებენ ღარიბაშვილს, რომ გვარამია გაათავისუფლოს. პრემიერს სასამართლოს ფუნქციები არა აქვს. ვისაც განაჩენი არ მოსწონს, ამისათვის ევროპაში არსებობს მექანიზმი. გვარამიას და სააკაშვილს შეუძლიათ განაჩენები ევროსასამართლოში გაასაჩივრონ. საქართველომ ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ იყოს ნატოსა და ევროკავშირის წევრი. ქართველები მონაწილეობდნენ ერაყის, ავღანეთის მისიებში, ნატოს პროექტებში. რუსეთის წინააღმდეგ ომებში სისხლი დაგვიღვრია. ევროინტეგრაცია ხალხს უნდა. ამიტომ, ევროკავშირმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

***– კანდიდატობის იმედი უნდა გვქონდეს?***

– ვერ გეტყვით. დასანანია, რომ ევროპელი ლიდერები, ევროპარლამენტარები ასე გვექცევიან. პირდაპირ ვიტყვი, საქართველოსთვის ბარიერების შექმნით ევროკავშირის, ევროპარლამენტის წარმომადგენლები წყალს ასხამენ რუსეთის წისქვილზე. ადრე რუსეთისთვის მიუღებელი იყო ნატოს გაფართოება, მის საზღვრებთან მოახლოება. ახლა უკვე ევროკავშირიც მიუღებელი გახდა.

***– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ანტიდასავლური განცხადებები რას ემსახურება?***

– გადაწყვეტილებას ევროკავშირი იღებს. საქართველოში გაკეთებული განცხადებებით არ წყდება საკითხი. საქართველომ ბევრი რამ გააკეთა. კონსტიტუციაში გვაქვს ჩაწერილი ევროატლანტიკური ინტეგრაცია. კითხვარი შევავსეთ. ევროპიდან შენიშვნის გამოთქმა შეიძლება, მაგრამ გვარამიას და სააკაშვილის გაიგივება საქართველოსთან, მეტისმეტია. სწორი პოზიცია აქვთ საქართველოს მიმართ ბალტიის ქვეყნებს, ცალკეული პიროვნებები და ზოგიერთი ქვეყანა კი ძალიან ცუდად იქცევიან. კუბილიუსი არ არის ობიექტური პოლიტიკოსი. ეს კაცი გადაიქცა სააკაშვილის ადვოკატად. არც ევროპის სახალხო პარტიაა მართალი.

***– 20 ივნისამდე გარკვეული იქნება ევროკომისიის პოზიცია. 20 ივნისს სამოქალაქო სექტორი აქციას აანონსებს. ნიკა მელიამ გამოაცხადა, რომ მასში ნაცმოძრაობაც ჩაერთვება. შესაძლებელია, რომ აქციაზე ევროინტეგრაციის თემამ წამოიწიოს?***

– არ ვიცი. გააჩნია, რას შევიტყობთ ევროპიდან. ნაცმოძრაობა და მასთან დაახლოებული ჯგუფები ყოველთვის ყველა შანსს იყენებდნენ ძალადობრივი გადატრიალებისათვის. უკრაინაში არსებობს სააკაშვილთან დაკავშირებული შეიარაღებული ჯგუფი. ამ ჯგუფის იმედი ჰქონდათ. ასე იყო იმ დროსაც, როცა სააკაშვილი უკრაინაში მუშაობდა და შემდეგაც. იმედი მაქვს, ევროკავშირის სტრუქტურები მიიღებენ ჯანსაღ გადაწყვეტილებას და არ ახეირებენ რუსეთს, არ მისცემენ საბაბს რუსეთის ინტერესების გამტარებელ ცრუ დასავლურ პარტიებს საქართველოში არიონ სიტუაცია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „შეურაცხმყოფელია ის რეზოლუცია, რომელიც გაჯერებულია ტყუილებით“

შეურაცხმყოფელია ის რეზოლუცია, რომელიც გაჯერებულია ტყუილებით, არაზუსტი ინფორმაციით. ამაში მე დავინახე ირაციონალურობაც. ყოველგვარი გონივრულობა და რაციონალი ამ რეზოლუციაში არის ამოვარდნილი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ევროპარლამენტის რეზოლუციას გადაწყვეტილების ფორმირების პროცესში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

– ევროპარლამენტის ასეთ რეზოლუციას, ამ პროცესში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ანუ გადაწყვეტილების ფორმირების პროცესში არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს და მათი როლი არის შეიძლება ითქვას სიმბოლური. შეურაცხმყოფელია ის რეზოლუცია, რომელიც გაჯერებულია ტყუილებით, არაზუსტი ინფორმაციით. ამაში მე დავინახე ირაციონალურობაც. ყოველგვარი გონივრულობა და რაციონალი ამ რეზოლუციაში არის ამოვარდნილი. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ფაქტობრივი უზუსტობა, ძალიან ბევრი ტყუილი, რაც ჩემთვის არის ძალიან სამწუხარო. ისე ნუ წარმოვაჩენთ ამ სპექტაკლს, რომელიც აქ დაიდგა და ძალიან აჟიტირებულები არიან ქვეყნის გარე და შიდა მტრები, თითქოს რაღაც სასწაული ხდება და სასწაულს კარგავს ქვეყანა, – განაცხადა პრემიერმა.



მან აღნიშნა, რომ საქართველო უკრაინას, მოლდოვას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ყველა პარამეტრით უსწრებს, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების შესრულებით, რომელიც 45%-ით არის შესრულებული და თავისუფალი ვაჭრობის შესრულებით, რომელიც უკვე 50%-ით არის შესრულებული.

– კანდიდატის სტატუსის ფასი შევაფასოთ, ჩვენს მოქალაქეებს უნდა ვუთხრათ სიმართლე. მე ვარ ვალდებული და ანგარიშვალდებული ჩვენს ხალხთან, რომ მათ ვუთხრა სიმართლე. კანდიდატის სტატუსი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არის სიმბოლური. ჯერ კიდევ დიდი იმედი მაქვს და ვინარჩუნებ ოპტიმიზმს, რომ ევროპაში გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც, რა თქმა უნდა, ევროპის ინტერესებშიც არის, ჩვენს ინტერესებშიც არის და ეს გადაწყვეტილება არ იქნება რუსეთის ინტერესებში. რა თქმა უნდა, ეს სტატუსი ძალიან კარგია, მაგრამ მთავარი დოკუმენტი, ღერძი და გზამკვლევი არის ასოცირების შეთანხმება, უვიზო რეჟიმი, თავისუფალი ვაჭრობა. ასოცირებულ ტრიოს რომ აცხადებენ, უკრაინა-მოლდოვას, არ მინდოდა შემედარებინა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ყველა პარამეტრით ვუსწრებთ უკრაინას, მოლდოვას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების შესრულებით, თავისუფალი ვაჭრობის შესრულებით, რომელიც უკვე 50%-ით არის შესრულებული და 45%-ით არის შესრულებული ასოცირების შეთანხმება. კანდიდატის სტატუსი არის სიმბოლური მნიშვნელობის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# „რუსეთს მსოფლიოში მოკავშირეები აღარ ჰყავს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.**

***– ბატონო დიმიტრი, უკრაინაში რუსეთის სასტიკი ომის პირობებში თქვენ გამოთქვით ვარაუდი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და რეინტეგრაცია გარდაუვალია. არსებულ ვითარებაში დეოკუპაციის იმედი რამ გაგიჩინათ?***

– საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის იმედი გარემოებათა ერთობლიობამ გამიჩინა. იმედი გამიჩინა რუსეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ბატონ კულევიჩის განცხადებამ, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სუფსიდირებას წყვეტს (ცხინვალის სუფსიდირება ჯდება 7,5 მლრდ რუბლი, ცხინვალის რეგიონის სუფსიდირება კი 5,3 მლრდ რუბლი) და მოუწოდებს ცხინვალისა და სოხუმის ხელისუფლებებს, საინვესტიციო გარემოზე თავად იზრუნონ, ვინაიდან რუსეთის ბიუჯეტს აღარ აქვს შესაძლებლობა, მათი სუფსიდირება სრული მოცულობით მოახდინოს.

მეორე გარემოებაა ცხინვალის რეგიონში ბიბილოვის მიერ 17 ივლისისთვის დანიშნული რეფერენდუმის ჩაშლა. ე.წ. რეფერენდუმი ალან გაგლოევმა ბრძანებულებით გააუქმა. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ერთია, რომ რეფერენდუმი ტარდება და მას რუსეთი არ ცნობს, მეორეა, უკვე დანიშნული და მხარდაჭერილი რეფერენდუმის (რომელსაც იქ დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა, ვგულისხმობ ეთნიკურ ოსებს) ჩავარდნა, გაუქმება.

***– რა გარანტიაა, რომ რუსეთი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის?***

– რეფერენდუმის გაუქმება მნიშვნელოვანი ფაქტია. ამ პროცესში ქართული დიპლომატია დაუყოვნებლივ უნდა ჩაერთოს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა მოხდეს.

***– კი, მაგრამ რუსეთის ინტერესები?***

– თქვენს კითხვას პასუხი რომ გავცე – დღეს ანგლოსაქსური გეოპოლიტიკა თურქეთის ხელით მოქმედებს. თურქეთს ცალკე გეოპოლიტიკური ავტონომია აქვს, თავისი გეოპოლიტიკური ზრახვების სისრულეში მოყვანის მიზნით. თურქული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ვექტორი შავი ზღვისპირეთია. იქ, სადაც თურქეთს უკვე ფეხი აღარ ჩასდის, ყირიმის მიმართულებაა. ახლა მთელი აქცენტი გადმოტანილია აფხაზეთზე.

აფხაზეთის ძველი მკვიდრნი მუჰაჯირები და ჩერქეზების ძალიან დიდი წარმომადგენლობა – დიასპორული ორგანიზაციები დღეს თურქეთში ძალიან გავლენიან სახელისუფლებო ვერტიკალში არიან. ის, რომ თურქეთმა უკვე 6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა აჭარის მიმართულებით და თურქეთს რომ ძალიან სერიოზული ზრახვები აქვს იმისა, თუ მიეცემა შესაძლებლობა თავისი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიური ნაბიჯი გადადგას საქართველოს მიმართულებით, ესეც ფაქტია.

ახლა, თურქი მილიარდერი რომ დაიჭირეს, ესეც შემთხვევით არ მომხდარა. ძალიან სწორი ნაბიჯი გადაიდგა. ის ბევრად ადრე იყო დასაჭერი, როგორც მასალები იკრიბებოდა მის წინააღმდეგ. ის არის თურქი ექსპანსიონისტი, რომელიც თურქეთიდან დევნილი ფეთხულა გიულენის გავლენის აგენტია. მისი ერთ-ერთი ამოცანა იყო აჭარაში თურქეთის სასარგებლო იდეოლოგიური პლატფორმის შექმნა თურქული სახელმწიფოს პოლიტიკისთვის. ამ მიმართულებით ის საქართველოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა.

მის ხელში აღმოჩნდა შესაძლებლობა, ბათუმში გეტოები აეშენებინა. ის სრულიად გაუგებარი არქიტექტურის მასობრივი ჩასახლების ადგილებს, სადაც განსაზღვრული იყო გარკვეული დემოგრაფიული ექსპანსიის განხორციელების გზით, გარკვეული სამუშაო ძალების შემოყვანის საფარქვეშ, უნდა მოეხდინათ დემოგრაფიული ჩარევა.

***– დემოგრაფიული სურათის შეცვლა.***

– დიახ. საქართველოს ყველა მხრიდან წეწენ, შიგნით მთავარი მტერი ნაცმოძრაობაა.

***– როდესაც ჩვენ არ ვთმობთ ტერიტორიულ მთლიანობას, რუსეთს რა აიძულებს, თავისი ინტერესები დათმოს?***

– რამ აიძულა რუსეთი 1876-78 წლებში, როდესაც ბოლო ომში ოსმალთა უკან იდგა სერიოზული იმპერია და მათი ბოლო სულთანი მაჰმუდ აზიზიე, რომელმაც რუსეთთან მარცხი იწვნია, რამ აიძულა რუსეთს, რომ თურქეთისაგან წართმეული ტერიტორიები საქართველოსთვის დაეთმო. რატომ უნდა მოეხდინა ასეთი ტიპის, საბოლოო შედეგზე ორიენტირებული.



***– ძალიან შორს წავედით, მაგრამ რუსეთმა კი არ დაგვიბრუნა, არამედ ბევრი ტერიტორიები დაგვაკარგვინა, იგივე 1921 წლის ოკუპაციის შედეგად.***

– ახლა თუ არ ვიმოქმედეთ, როდესაც ხელსაყრელი დროა, რადგან რუსეთი დიდ ომს აწარმოებს დასავლეთთან. რუსეთს, ცხადია, თავისი რესურსები გააჩნია, მაგრამ რესურსები შეზღუდული არ არის. რესურსები არ არის ულევი და ამოუწურავი. შეუძლებელია რუსეთმა თვეების განმავლობაში ომი ისე აწარმოოს, რომ ეს მის ეკონომიკაზე, სოციალურ ყოფასა და ზოგადად, ეკონომიკურ სტაბილურობაზე არ აისახოს.

შესაბამისად, რუსეთს მსოფლიოში მოკავშირეები აღარ ჰყავს, გარდა იმ ქვეყნებისა, რომლებსაც ეკონომიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, თანამშრომლობის თავისი პრაგმატული ხედვები გააჩნიათ.

## შიდა ქართლის პოლიციამ სუპერმარკეტ „ლიბრეს“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნა. დაკავებულია 2 პირი




შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 2 პირი: 2005 წელს დაბადებული გ.თ. და 2003 წელს დაბადებული მ.ნ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 8 ივნისს, ღამის საათებში, გორში, სუპერმარკეტების ქსელ „ლიბრეს“ ფილიალს ყაჩაღურად თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა სუპერმარკეტის მოლარესა და კონსულტანტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ცივი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ, შემდეგ კი სუპერმარკეტიდან გაიტაცეს სეიფი მასში მოთავსებული 815 ლარით. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციამ ორივე ბრალდებული დააკავა. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## კახეთის პოლიციამ თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე ძებნილი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.გ. დააკავეს, რომელიც დამამძიმებელ გარემოებაში რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 მაისს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელ ძმებს – 1976 წელს დაბადებულ კ.მ.-ს და 1986 წელს დაბადებულ ბ.მ.-ს, ასევე, მათ დედას – 1954 წელს დაბადებულ ე.მ.-ს და საკუთარ შვილს – 1993 წელს დაბადებულ გ.გ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, კ.მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდათ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში დააკავეს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლით მიმდინარეობს.

# „მე მას სიკვდილამდე ვეხმარებოდი“

### ანასტასია შატალოვას საქმეზე ბათუმის ყოფილმა ვიცე-მერმა ჩვენება მისცა

ანასტასია შატალოვას მკვლელობის საქმეზე ბათუმის ყოფილი ვიცე-მერი, ზურაბ ბერიძე დაიკითხა.

ზურაბ ბერიძესა და ანასტასია შატალოვას საერთო შვილი ჰყავთ. როგორც ბერიძემ განმარტა, შატალოვასთან კონფლიქტი სწორედ საერთო შვილთან დაკავშირებით ჰქონდა.

ყოფილი ვიცე-მერის თქმით, ის შატალოვას სთხოვდა, შვილი მისთვის მიეცა, ვინაიდან, ბერიძის თქმით, ის შვილს „კვირებით არ ნახულობდა და შესაბამისად არ უვლიდა“.

ბერიძის თქმით, ანასტასია შატალოვას მკვლელობის შესახებ მეორე დღეს, მაშინ შეიტყო, როცა მის საცხოვრებელ სახლში სამართალდამცავები მივიდნენ.

როგორც ყოფილი ვიცე-მერი აცხადებს, ახლა შვილი მასთანაა და სასამართლოში დავაც მხარის გარდაცვალების გამო შეწყვეტილია.

– ჩვენ გვყავდა საერთო შვილი, ანასტასია შატალოვა 2019 წლის დასაწყისში გავიცანი და შეგვეძინა შვილი, ამ ხნის განმავლობაში გვქონდა იშვიათი ურთიერთობა, ისეთი არა, როგორც ცოლქმარს, ან მეგობარ გოგოს, ყურადღებას ვაქცევდი ორსულობის პერიოდში, უზრუნველვყოფდი საცხოვრისით და ყველა საჭირო ნივთით.

ერთად ვიცხოვრეთ 2021 წლის აპრილის დასაწყისიდან ივნისის დასაწყისამდე, 3 თვე, მანამდე ბავშვის სანახავად მივდიოდი. ორსულობის დროს და ბავშვის დაბადების შემდეგაც, გარკვეული პერიოდი, ბათუმში ცხოვრობდა, ბინა მე დავუქირავე.

ჩვენ ძირითადად ბავშვის საკითხზე გვქონდა უთანხმოება, ბავშვის გაჩენის შემდეგ ანასტასია თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, ბავშვს ჰყავდა ძიძები. აღმოვაჩინე, რომ ბავშვს არ უვლიდა, ამ მომენტში ამაზე საუბარი არაკორექტულია, ვუთხარი, რომ ბავშვი ჩემთვის მოეცა და მასთან ხშირი კომუნიკაცია ექნებოდა და არასდროს დაკარგავდა ბავშვზე უფლებას, შეუზღუდავი უფლება ექნებოდა. რაღაც მომენტში მთანხმდებოდა, მერე უარს ამბობდა, შესაძლოა, ვიღაც ადამიანები ზემოქმედებდნენ მასზე.

ანასტასია რას საქმიანობდა, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არაკორექტულია ვთქვა, ის ოფიციალურად დასაქმებული არ იყო. კვირები ისე გადიოდა, ბავშვს არ ნახულობდა. სიკვდილამდე ვეხმარებოდი, მე მის ანგარიშზე ვრიცხავდი თანხას.

გვარი თავიდანვე არ მიმიცია, დნმ ექსპერტიზა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ჩავატარე და მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ჩემი შვილი იყო, გვარი მივეცი.

ბათუმის საქალაქო სასამართლო განიხილავდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, როგორც გითხარით, დედობის უფლების შეზღუდვაზე მოთხოვნა არ ყოფილა.

თითქოს, იქამდე მიდიოდა საქმე, რომ შევთანხმდებოდით, უთანხმოების ერთადერთი მიზეზი, როგორც გითხარით, ბავშვი იყო, ჩხუბი და რაღაც არ გვქონია. 2021 წლის ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე საქართველოში არ ვიყავი, ანასტასიასთან კომუნიკაცია არ მქონია. ანასტასიასთან კომუნიკაცია სასამართლოს მიერ ნებისმიერი ფორმით აკრძალული მქონდა. ივნისში გამომიწერეს შემაკავებელი და აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შემიფარდეს, იქვე იყო მითითებული, რომ ანასტასიასთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მეკრძალებოდა.



ჩემსა და ანასტასიას შორის შეკამათება მოხდა, თანხა მომთხოვა, ვუთხარი, რომ საღამოს მივცემდი, რადგან „ქეში“ არ მქონდა, ბანკომატიდან გავანაღდებდი და გადავცემდი, უკმეხი პასუხი გამცა, თუ არ მაძლევ, მე შემიძლია თანხის გამომუშავებაო, ეს კონფლიქტი ბათუმში, ჩემსავე დაქირავებულ ბინაში მოგვივიდა. ანასტასია მანამდე დაქალთან იყო, მასთან კონფლიქტი მოუვიდა და მან ჩემ შვილთან ერთად ისინი სახლიდან გამოყარა, რის შემდეგაც, ჩემ მიერ ნაქირავებ ბინაში გადავიყვანე. ვუთხარი, თუ თანხის გამომუშავება უნდოდა, წასულიყო თბილისში, როცა ნივთებს შეაგროვებ, დამირეკე-მეთქი.

ძიძამ დამირეკა, ანასტასიამ 112-ში დარეკა და პატრული გამოიძახაო, ფიცის ქვეშ გეუბნებით, ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. ადვოკატმა დაარწმუნა ალბათ, თითქოს მე ვახორციელებდი ძალადობას და ეს სამოქალაქო დავის ნაცვლად იქნებოდა უმოკლესი გზა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიეღო, თუკი მამას მოძალადის სტატუსი ექნებოდა.

მე წავედი საქართველოდან, ოპერაციებიც მქონდა გასაკეთებელი, უკრაინაში 3 ოპერაცია გავიკეთე და სექტემბრის ბოლოს დავბრუნდი. ანასტასიას მკვლელობის შესახებ მეორე დღეს შევიტყვე, პოლიციელები მოვიდნენ ჩემ საცხოვრებელ ბინაში. დილაობით დიდხანს ძილი მიყვარს და მათ გამაღვიძეს. ბავშვი ახლა ჩემთანაა. მხარის გარდაცვალების გამო სასამართლოში სარჩელი შეწყდა. შატალოვას დედასთან ინტენსიური ურთიერთობა მაქვს, – განაცხადა ბერიძემ.

ცნობისთვის, ზურაბ ბერიძე ანასტასია შატალოვას მიმართ მუქარის ფაქტზე ცალკე წარმოებად მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულია. მას შატალოვა მკვლელობამდე უჩიოდა.

ანასტასია შატალოვა თბილისში, საბურთალოზე, 18 ოქტომბერს მოკლეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა ბექა ლატარია, ბიძინა ხასია და ლევან რაჯავი დააკავეს.

ბექა ლატარიას ბრალი განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის მუხლით აქვს წარდგენილი.

ბიძინა ხასიას გამოძიება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვას, პოლიციელების სიცოცხლის მოსპობის მცდელობისთვის და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავება.

ლევან რაჯავს გამოძიება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვას ედავება.

## რუსთავის საპატრულო პოლიციას ახალი ავტომობილები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის ევროპული სტანდარტის სამუშაო პირობების შექმნას, საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ავტოპარკის განახლებას.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს ახალი, სედანის ტიპის, ჰიბრიდულძრავიანი 10 ავტომობილი გადასცა.

სამინისტროში საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზანია საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და პოლიციელებისთვის უკეთესი, კომფორტული სამუშაო პირობების შექმნა.

ვაჟა სირაძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან სამუშაო თათბირი გამართა, მათ დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა. ვაჟა სირაძე ასევე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის ერთიანი მომსახურების ცენტრში იმყოფებოდა და თანამშრომლებს გაესაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ავტომანქანები არის ეკონომიური, რაც შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, კერძოდ, საწვავისა და სერვისის ხარჯს. ამავდროულად, ახალ ავტომობილებს მინიმალური გამონაბოლქვი აქვს და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტია. ბათუმისა და ქობულეთის შემდეგ, ეკოლოგიურად უსაფრთხო და თანამედროვე საპოლიციო ტრანსპორტი რუსთავშიც სრულად ჩაანაცვლებს საპატრულო პოლიციის მხოლოდ საწვავზე მომუშავე მანქანებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის ავტოპარკს რეგულარულად აახლებს. გასულ წელს, პოლიციის დანაყოფების ავტოპარკი 700-მდე ახალი ავტომობილით განახლდა.

## ხევში ჩავარდნილი მოქალაქე მაშველებმა 15 კილომეტრი გამოატარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაკისსოფელში მოქალაქე ჩავარდნილი იყო ხევში და ესაჭიროებოდა სამაშველო ჯგუფის დახმარება.

ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

„შეტყობინებაზე რეაგირება მოახდინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და მამაკაცის დასახმარებლად დაიწყო სპეციალური სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა.

რთული რელიეფის, ძლიერი ნისლის და უამინდობის, ასევე მოქალაქის ადგილსამყოფლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო სამაშველო ოპერაციის სპეციალური ტექნიკით ჩატარება, შესაბამისად, მამაკაცის დასახმარებლად მაშველთა ქვეითი ჯგუფი გავიდა. მეხანძრე-მაშველებმა დაშავებულის უსაფრთხო ადგილზე ჩამოსაყვანად ფეხით 15 კილომეტრამდე გაიარეს და მრავლობითი დაზიანებების მქონე მამაკაცი საკაცის საშუალებით საავტომობილო გზამდე გამოიყვანეს.

ამ დროისთვის, მოქალაქე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფის მიერ უკვე გადაყვანილია საავადმყოფოში, სადაც მას აღმოუჩენენ აუცილებელ დახმარებას“ – აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში.

## რუსთავის რესტორანში ქალი გარდაიცვალა

რუსთავში, ერთ-ერთ რესტორანში ქალი გარდაიცვალა.

„ინფო რუსთავი“-ს ინფორმაციით, ძველ რუსთავში, ერთ-ერთი კვების ობიექტის თანამშრომელი, 50 წლამდე ქალი მოულოდნელად ცუდად გახდა და ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ქალის გადარჩენას რესტორნის თანამშრომლები ცდილობდნენ, თუმცა, უშედეგოდ. ადგილზე ასევე გამოძახებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და პოლიციის ეკიპაჟები. მომხდარზე გამოძიება სსკ 115-ე მუხლით დაიწყო.

## ბათუმში საქართველოს ბანკში პირი შეიჭრა

### ის დააკავეს

პირი 10 ივნისს „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალში შეიჭრა.

ოფიციალური ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება დაიწყო 179-ე ყაჩაღობის მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, დაკავებულ პირს ბრალის დადასტურების შემთხვევაში ხუთიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მას კიდევ ერთი – 236-ე მუხლით აქვს ბრალი წარდგენილი, რომლის პირველი ნაწილი გულისხმობს „სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ანდა ასეთი იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა ან შენახვას. ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. შემთხვევა დაახლოებით 12 საათზე მოხდა, „საქართველოს ბანკის“ ბათუმის ერთ-ერთ ფილიალში. თვითმხილველის მონათხრობის თანახმად, თავდამსხმელი სალაროს გახსნას ითხოვდა.

– წინააღმდეგობის შემდეგ თავდამსხმელმა ერთხელ გაისროლა ჰაერში. სროლის ხმაზე ბანკის თანამშრომლები გარეთ გაცვივდნენ. შენობაში დარჩა მხოლოდ თავდამსხმელი, როცა მიხვდა, სალაროს ვერ გახსნიდა, თავადაც გაიქცა, – ყვება თვითმხილველი. მისი თქმით, თავდამსხმელი დაახლოებით 30 წლის კაცია. მან თანხის წაღება ვერ მოახერხა.

შსს ბათუმში „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე ერთი პირი დაკავების ფაქტზე ინფორმაციას ავრცელებს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბათუმში, „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე 1989 წელს დაბადებული ბ.მ. დააკავეს. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა „საქართველოს ბანკის“ ფილიალში, იარაღის დემონსტრირებით, მოლარეს თანხა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ამავე იარაღიდან გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ავარიის შედეგად პანკისელი უხუცესის, ხასო ხანგოშვილის, ვაჟი გარდაიცვალა

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, პანკისელი უხუცესის, ხასო ხანგოშვილის, ვაჟი გარდაიცვალა. შემთხვევა სოფელ მატანთან 10 ივნისს ღამე მოხდა. ავარიის შედეგად, დაშავებული სამი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

გებიშ ხანგოშვილს სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა თელავშიც. მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე ქალს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიება, ორივე ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო.

## ბულგარეთის ნაკრების 1 ავტობუსი თბილისში მეორეს შეეჯახა

### 1 ფეხბურთელი დაშავდა

საქართველოში ჩამოსული ბულგარეთის ნაკრების ავტობუსი ავარიაში მოყვა. ავარიის შედეგად, ერთ-ერთი ფეხბურთელი თოდორ ნედელევი დაშავდა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. გუნდის სხვა წევრები არ დაშავებულან. შემთხვევა თბილისში, აეროპორტიდან სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე მოხდა. ეროვნული ნაკრების წევრები, უეფას მოთხოვნების შესაბამისად, ორ ავტობუსში მოთავსდნენ, რომელთაც პოლიციის ესკორტი მიაცილებდა. არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი ავტობუსი მეორეს შეეჯახა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ზელენსკი: „თუ მშვიდობას უჭერთ მხარს, მხარს უჭერთ უკრაინას“



მსოფლიომ დღეს რუსეთი თავის საზღვრებთან უნდა დააბრუნოს და არა მასთან ურთიერთგაგებას ეცადოს, რადგან მხოლოდ სიტყვებით ვერავინ დააშოშმინებს რუსეთის ხელმძღვანელობას.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ აზიის უსაფრთხოების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ფედერაციის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაშოშმინება აღარ შეიძლება. ამისთვის უკვე გვიანია. მათთან ყოველდღიურად საუბარი, კონკრეტული ფინანსური და ეკონომიკური სანქციების დაწესება – ეს ყველაფერი უფრო ადრე, სრულმასშტაბიან შემოჭრამდე უნდა გაკეთებულიყო.

დღეს არ არსებობს „ნაცრისფერი“ ზონა, დღეს არსებობს მხოლოდ მხარდაჭერა. თუ მშვიდობას უჭერთ მხარს, მხარს უჭერთ უკრაინას, თუ მხარს უჭერთ ომს, რა თქმა უნდა, თქვენ გამონახავთ რაიმე სახის ურთიერთგაგებას რუსეთის ფედერაციასთან, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა რუსეთის საზღვრების გადაკვეთას არ აპირებს.

– უკრაინა თავის მიწაზეა. უკრაინაში შორს წასვლა ნიშნავს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლას. ჩვენ ეს არ გვინდა. ჩვენ ამისკენ არ ვისწრაფვით. ჩვენ ამას არ ვაკეთებთ. ჩვენ არ გვაქვს ასეთი გეგმები. ჩვენ პატივს ვცემთ საერთაშორისო კანონს, ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მაგრამ ომი ჩვენს მიწაზეა. ხალხი ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომაც ვახორციელებთ რუსეთზე ზეწოლას ჩვენი მიწიდან, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, უკრაინაში შექმნილი ვითარება მაგალითი უნდა გახდეს მთელი მსოფლიოსთვის, რომ საჭიროა პრევენციული სანქციების დაწესება და ომის თავიდან ასაცილებლად სხვა ნაბიჯების გადადგმა.

– რადგან ომს მსოფლიოში პოზიტივი არ მოაქვს. ამით არავინ სარგებლობს, გარდა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერისა, რომელთა ამბიციები ყოველდღიურად იზრდება მათი პოლიტიკური მადის გამო, – აღნიშნა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

## ჩინეთი იბრძოლებს ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაჩერებლად



ჩინეთი ბოლომდე იბრძოლებს ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესაჩერებლად.

ამის შესახებ ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა ვეი ფენმა, სინგაპურში მიმდინარე უსაფრთხოების სამიტზე გამოსვლისას განაცხადა, რომელსაც სხვა ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი.

– ჩვენ ვიბრძოლებთ ნებისმიერ ფასად და ვიბრძოლებთ ბოლომდე. ეს ჩინეთის ერთადერთი არჩევანია. მათ, ვინც ჩინეთის გაყოფის მცდელობით ტაივანის დამოუკიდებლობას ესწრაფვიან, ნამდვილად არ ექნებათ კარგი დასასრული. სათანადოდ უნდა შეაფასოთ ჩინეთის შეიარაღებული ძალების გაბედულება და უნარი, დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა, – აღნიშნა ვეი ფენმა.

როგორც მედია წერს, ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა ჩინეთი ტაივანის კუნძულთან ახლოს პროვოკაციულ და დესტაბილიზაციის გამომწვევ სამხედრო აქტივობაში დაადანაშაულა.

ტაივანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მისი სუვერენიტეტის შესახებ განცხადებები დაგმო და მას „აბსურდი“ უწოდა.

ტაივანის უწყების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის მხარდაჭერისთვის.

– ტაივანი არასოდეს ყოფილა ჩინეთის მთავრობის იურისდიქციის ქვეშ და ტაივანელი ხალხი არ დანებდება ჩინეთის მთავრობიდან მომდინარე ძალის მუქარას, – თქვა ტაივანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა.

## მარიუპოლი ქოლერის დიდი აფეთქების საფრთხის წინაშეა



მარიუპოლი ქოლერის მასშტაბური აფეთქების რისკის წინაშეა.

ბიბისი გაეროს მონაცემებზე დაყრდნობით წერს, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი დაზიანებული ან განადგურებულია, სასმელი წყალი კი ჩამდინარე წყლებთან არის შერეული. ქუჩებში ცხედრებისა და ნაგვის სიმრავლე ასევე უწყობს ხელს ანტისანიტარიას.

მარიუპოლის უკრაინელი მერი ვადიმ ბოიჩენკო აცხადებს, რომ ქალაქში უკვე გამოვლინდა ქოლერა, დიზენტერია და სხვა ინფექციური დაავადებები და უფრო მასშტაბური აფეთქების თავიდან ასაცილებლად მარიუპოლი ჩაიკეტა.

თავის მხრივ, რუსეთის მიერ დანიშნული მერი აცხადებს, რომ ტესტები ყოველდღიურად ტარდება და ქოლერის შემთხვევები მარიუპოლში ამ ეტაპზე არ დაფიქსირებულა.

## ჩრდილოეთ იტალიაში ვერტმფრენი ჩამოვარდა




ჩრდილოეთ იტალიაში, ვერტმფრენის ჩამოვარდნიდან 2 დღის შემდეგ, 7 ადამიანის ცხედარი აღმოაჩინეს.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დასავლურ მედიაში ვრცელდება.

ეროვნული ალპური კლდეებისა და გამოქვაბულების სამაშველო კორპუსის ცნობით, თავდაპირველად 5 ცხედარი იპოვეს, ბორტზე მყოფი კიდევ 2 ადამიანის ცხედარი კი 11 ივნისს აღმოაჩინეს.

„ვერტმფრენი, რომელიც 9 ივნისს უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ლუკას აეროპორტიდან 7 მგზავრით აფრინდა და დღეს განადგურებული იპოვეს“ – განაცხადა სააგენტომ.

მედიის ცნობით, ცხედრები აპენინებზე, ემილია-რომანიას ჩრდილოეთ რეგიონში, ტოსკანიდან რამდენიმე კილომეტრში იპოვეს.

## ირანმა და ვენესუელამ 20-წლიანი თანამშრომლობის გეგმას ხელი მოაწერეს



ნავთობის უმსხვილესმა მწარმოებლებმა, ირანმა და ვენესუელამ თეირანში, 20-წლიანი თანამშრომლობის გეგმას ხელი მოაწერეს.

ქვეყნები აშშ-ის სანქციებს ებრძვიან, რომლებიც მათი ნავთობის ექსპორტს აფერხებს.

ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო როიტერი ავრცელებს.

მედიის ცნობით, ხელმოწერის ცერემონიას ირანის პრეზიდენტი იბრაჰიმ რაისი და მისი ვენესუელელი კოლეგა ნიკოლას მადურო ესწრებოდნენ. აღნიშნული თანამშრომლობის გეგმა ნავთობის, ნავთობქიმიკატების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობას მოიცავს. გეგმას ხელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოაწერეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნარკოდანაშაულისთვის 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და აჭარაში ნარკოდანაშაულისთვის 5 პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, სსკ-ის 19-260-ე, სსკ-ის 265-ე, სსკ-ის 273-ე პრიმა მუხლით, სსკ-ის 18-273 -ე პრიმა მუხლით და სსკ-ის 236-ე მუხლით მიმდინარეობს. აღნიშნული დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„პოლიციამ ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტებიც აღკვეთა – სხვადასხვა ადგილზე შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკები ამოიღო და 3 პირი დააკავა. აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1975 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.მ. დიდი ოდენობით ნარკოტიკის არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკი ამოიღო. ამასთანავე, დაბა ჩაქვში, ი.მ.-ის მითითებით ამოღებულია მის მიერ სხვადასხვა ლოკაციაზე შემდგომი გასაღების მიზნით განთავსებული ნარკოტიკი.

ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ჯგუფურად მომზადება ედება ბრალად თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ თბილისში დაკავებულ 2 პირს: 1998 დაბადებული ს.ც. და 1995 წელს დაბადებული ნ.მ. -ს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ბრალდებულების მითითებით, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ბრალდებულების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით განთავსებული ნარკოტიკული საშუალება. ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა 1988 წელს დაბადებული ზ.ღ. მას ბრალი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირებაში, დიდი ოდენობით „მარიხუანის“ უკანონო შეძენა-შენახვასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება. სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მის მიერ კულტივირებული 4 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, ასევე, სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო კულტივირების ბრალდებით 1981 წელს დაბადებული თ.ტ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 1 შეკვრა გამომშრალი „მარიხუანა“, „მდმა“-ს შემცველი 2 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, ხოლო ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის კულტივირებისთვის მოწყობილი სათბურიდან ამოღებულია 39 ძირი კანაფი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

### კალეიდოსკოპი

## მანქანის მართვისას ორალური სექსი ავარიითა და მძღოლისთვის საბედისწეროდ დასრულდა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში მძღოლმა და მისმა მგზავრმა ავტომობილის გაუჩერებლად ორალური სექსით დაკავება გადაწყვიტეს.

აღნიშნული მცდელობა ავტოავარიით დასრულდა. საჭესთან მჯდომმა მამაკაცმა მანქანის მართვას თავი ვეღარ გაართვა და სატვირთო ავტომობილს დაეჯახა. შედეგად მან სასქესო ორგანოების დაზიანება მიიღო. მისი მგზავრი ქალი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

თვითმხილველების მტკიცებით, შეჯახების დროს ავტოავარიაში დამნაშავეები სრულიად შიშვლები იყვნენ. სატვირთოს მძღოლმა და მისმა თანამგზავრმა მსუბუქი დაზიანებები მიიღეს.

## თხის ნიანგისგან გადარჩენის მცდელობას თავად მწყემსი ემსხვერპლა



ინდოეთის გუჯარათის შტატის მახისაგარის რაიონის სოფელში ნიანგმა მოკლა მწყემსი, რომელიც თხის გადარჩენას ცდილობდა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მწყემსი პუნჯა პაგი თხებს მდინარის პირას მწყემსავდა. მოულოდნელად ერთ-ერთ^მათგანს თავს ნიანგი დაესხა. რეპტილიას სურდა, თხა წყლის სიღრმეში ჩაეთრია, მაგრამ მამაკაცმა შინაური ცხოველის გადარჩენა ცადა.

მაშინ ნიანგმა თხას პირი უშვა და თავის ახალ სამიზნედ თავად მწყემსი აირჩია. მან პაგის კბილები ჩაავლო და წყლისკენ წაათრია. შედეგად მამაკაცმა მეტად მძიმე დაზიანებები მიიღო და დაიღუპა. მოგვიანებით მის ცხედარს მდინარეში მიაგნეს.

## მამაკაცს ალიგატორი ძაღლში აერია და ფეხის ნაწილი დაკარგა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნორტ-პორტში ალიგატორმა ფეხზე მძიმე დაზიანება მიაყენა მამაკაცს, რომელმაც ის ძაღლს მიამსგავსა.

აღნიშნული ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც მამაკაცმა სასტუმროს გვერდით ჩაუარა. მან ბუჩქებში მუქი ფერის სილუეტი შენიშნა, ჩათვალა, რომ ის გრძელი საბელით დაბმული ძაღლი იყო და არ გაეცალა, როდესაც ალიგატორი ბუჩქებიდან გამოიჭრა.

რეპტილია მამაკაცს ყბებით ფეხში ჩააფრინდა და კუნთოვანი ქსოვილის ნაწილი მოაგლიჯა. დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შემთხვევის ადგილზე რეპტილიებზე მონადირე სპეციალისტის მისვლამდე ალიგატორის დაჭერა სპეციალისტებმა მოახერხეს. შტატის ბუნებრივი რესურსებისა და ველური ბუნების დაცვის კომისიამ მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

## ექვსი ადამიანის მკვლელს მისი სელფის წყალობით მიაგნეს



აშშ-ში გამომძიებლებმა მკვლელს, რომელმაც ძარცვის დროს ექვსი ადამიანი ჩაცხრილა, სელფის წყალობით მიაგნეს, რომელიც მან დანაშაულის ადგილზე გადაიღო.

თავის მსხვერპლებზე ანგარიშსწორება 34 წლის ტრევის ლამარ ბირკლმა ბიძაშვილთან ერთად ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკიში მოაწყო. მკვლელობა ნარკომოვაჭრეთა ბუნაგის ძარცვის დროს მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბირკლი პირად მცველად ნარკომოვაჭრე წყვილმა მიშელ და დონტა უილიამსებმა დაიქირავეს, რომლებიც საკუთარ საცხოვრებელს აკრძალული ნივთების საწყობად იყენებდნენ.

ძარცვის დღეს ბირკლმა იარაღი დონტს მიუშვირა, მაგრამ ამ დროს მას მიშელი დაესხა თავს. მან ჯერ მიშელს ესროლა, შემდეგ კი – მის მეუღლეს. სროლის ხმის გაგონებაზე დასახმარებლად მათმა თანამზრახველმა მიირბინა, რომელიც იმ მომენტში შენობის სარდაფში იმყოფებოდა. როგორც კი მან კიბეზე აირბინა, ბირკლიმ ისიც მოკლა. იმისთვის, რომ მოწმეები არ დაეტოვებინა, ბირკლიმ გადაწყვიტა, ყველა მოეშორებინა თავიდან, ვინც კი იმ დროს სახლში იმყოფებოდა. ის სარდაფში ჩავიდა და იქ მყოფ კიდევ ორ ადამიანს გაუსწორდა, შემდეგ საძინებელში ავიდა და დონტის ძმაც მოკლა.

პოლიციამ მკვლელის დაპატიმრება ოთხი თვის შემდეგ მოახერხა. ბირკლის მკვლელობაში მონაწილეობაზე მოწმობდა მის ტელეფონში ნაპოვნი სელფი, რომელიც მან მკვლელობის ადგილზე გადაიღო. კადრში ის მოკლული დონტის სათვალით იწონებდა თავს.

ბირკლის მკვლელობისა და სხეულის მძიმე დაზიანების ბრალდება წაეყენა. მას გირაოს სახით მილიონი დოლარი დაეკისრა. მან უკვე აღიარა დანაშაული, მის ბიძაშვილზე კი ძებნაა გამოცხადებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# 20 წლამდე ნაკრები მზადების შემდეგ ეტაპზე გადავიდა



საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის ემზადება, რომელსაც 15-24 ივლისს თბილისი უმასპინძლებს.

საქართველოში 19 ქვეყნის ნაკრები ჩამოვა და მატჩებს ახალაშენებულ სპორტის სასახლესთან ერთად ოლიმპიური სასახლეც უმასპინძლებს. ორგანიზატორებთან ერთად საპასუხისმგებლო ღონისძიებისთვის ემზადება საქართველოს ნაკრებიც, რომლის მწვრთნელიც ეროვნულში ილიას ზუროსის ასისტენტი მილოშ გლიგორიევიჩია. სერბ სპეციალისტს სამწვრთნელო შტაბში ჰყავს ირაკლი ძიძიგური და ენდრიუ ანთელიძე.

20-წლამდელთა ნაკრებს ამხანაგური მატჩები როგორც საქართველოში, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში აქვს დაგეგმილი, მანამდე კი, შეკრებაზე რაჭაში იმყოფებოდა. გლიგორიევიჩის გუნდი 16 კალათბურთელის შემადგენლობით ქალაქ ამბროლაურში მოემზადა.

გუნდი ამჯერად თბილისშია და შეკრებას აქ განაგრძობს. 18 ივნისს კი, საბერძნეთში 14 კალათბურთელით გაემგზავრება. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს საბერძნეთში, ბულგარეთში, თურქეთსა და თბილისში ჯამში 8 ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი.

საქართველოს 20-წლამდე ნაკრები საბერძნეთში 18-დან 30 ივნისამდე დარჩება და მასპინძლებთან 2 მოსამზადებელ მატჩს ჩაატარებს, 1-3 ივლისს ბულგარული შეკრება დაგეგმილი, სადაც მასპინძლებთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან თამაშები გაიმართება. 6-10 ივლისს საერთაშორისო ტურნირია თურქეთში, მასპინძლების, ბერძნების, ნიდერლანდელებისა და ქართველების მონაწილეობით, 12 ივლისს კი, იმავე ნიდერლანდელებს თბილისში დავუხვდებით.

საქართველოს 20-წლამდე კალათბურთელთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ვლადიმერ თავაქარაშვილი, ნიკოლოზ გაფრინდაშვილი, მათე კაპანაძე, ვახტანგ გოგბერაშვილი, ვლადიმერ სალარიძე, გიორგი ობგაიძე, ზურაბ ვაშაკიძე, ლუკა ლიკლიკაძე, ალექსანდრე კოკოჩაშვილი, ავთანდილ ბახტაძე, ნიკა რატიანი, ლევან ქვარცხავა, მერაბ შენგელია, დავით აბულაძე, ელგუჯა ხვედელიძე, გიორგი მესხი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის ბ ჯგუფშია, სადაც მეტოქეებად შვედეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, კოსოვო და ავსტრია ჰყავს.

# ფუტკარაძემ ევროპული თამაშების ლიცენზია მოიპოვა



მიუნხენში დასრულდა მე-3 ევროპული თამაშების საკვალიფიკაციო შეჯიბრება. საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზა ციკო ფუტკარაძემ, რომელმაც 1 ადგილი დაიკავა და 2023 წლის ევროპული თამაშების ლიცენზია მოიპოვა.

შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უახლოეს დროში მიიღებს.

გეტყვით, რომ ფუტკარაძე მე-2 ევროპული თამაშების მონაწილეც არის.

ეს საქართველოსთვის მე-3 ევროპული თამაშების პირველი საგზურია, ამ კომპლექსურ ტურნირს კი, 2023 წლის 21 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით პოლონური კრაკოვი უმასპინძლებს.

მიუნხენში ევროპის ჩემპიონატიც ჩატარდა და ჩვენები წარუმატებლად გამოვიდნენ. ქალებში საკვალიფიკაციოში საუკეთესო შედეგი ფუტკარაძეს ჰქონდა – 641 ქულა და 26-ე ადგილი. ირა არჯევანიძე 561 ქულით 69-ზე გავიდა, თეონა კუტალაძე 542 ქულით – 73-ე იყო.

ვაჟებში შესარჩევი ეტაპი ჩვენგან ყველაზე კარგად ლაშა ფხაკაძემ ჩაატარა – 626 ქულა, მაგრამ ეს მხოლოდ 67-ე შედეგი აღმოჩნდა. მირიან წულუკიძე 616 ქულით 77-ზე გავიდა, ხოლო ალექსანდრე მაჭავარიანის შედეგი 613 ქულა და მე-80 ადგილია.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ნანა წულაია:** მქონდა ქალური პრობლემები, ასევე მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**ვახო წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**რეზო ნარმანია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელღება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**თამრიკო მხეიძე:** 79 წლისაა ჩემი მეუღლე, წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ჯიმი ტაბიძე კარიერას ბელგიაში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ჯიმი ტაბიძე კარიერას ბელგიაში გააგრძელებს. ტაბიძე იქაური ჟუპერლიგის კორტრეიკის ფეხბურთელი გახდა. ბელგიურმა გუნდმა ქართველი ცენტრალური მცველის ტრანსფერის შესახებ თავად გამოაცხადა. 26 წლის ტაბიძემ ჟუპილერ ლიგის კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ტაბიძე კორტრეიკისთვის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის მეოთხე შენაძენია. ჯიმი კორტრეიკის რიგებში 3-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

კორტრეიკი ბელგიის უმაღლეს დივიზიონში, ჟუპილერ ლიგაში თამაშობს. 2021-22 წლების სეზონში კლუბმა ჩემპიონატი 37 ქულით მე-13 ადგილზე დაასრულა.

ტაბიძე ბოლო უფას შემადგენლობაში თამაშობდა და კონტრაქტი ამ ზაფხულს ამოეწურა. თუმცა, მანამდე მცველმა რუსეთი ფიფა-უეფას ახალი წესის მეშვეობით ისარგებლა და რუსული გუნდი უფრო ადრე დატოვა. შესაბამისად, ჯიმი ბელგიურ კლუბს უფასოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.



საქართველოს ნაკრების დაცვა თანდათან „სიბერეში“ შედის. შედეგად, ტაბიძისთვის ახლა ნორმალური კლუბის მოძებნა და სათამაშო პრაქტიკის მიღება ჩვემთვის კარგი იყო.

ტაბიძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 14 მატჩი აქვს ჩატარებული და 1 გოლიც გატანილი. ფეხბურთელმა შარშან ზაფხულში ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც რეაბილიტაციის პროცესს გადიოდა და 2021-22 წლების სეზონში მოედანზე საერთოდ არ გასულა.

შეგახსენებთ, რომ კორტრეიკის რიგებში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელია – 19 წლის ნახევარმცველი ცოტნე ბენდიანიშვილი, რომელმაც გასულ სეზონში ჟუპილერ ლიგის 1 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

# შავი ლომი ფლეი ოფში გავიდა

შავმა ლომმა ქარის თასის რეგულარული გათამაშება მოწინავე ოთხეულში დაასრულა და ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

დაამიწა. მასპინძლებმა სწრაფად გვიპასუხეს, ახლა მათ დააყენეს მოლი, ლელოს გარდასახვაც მიაყოლეს და ტაიმი 10:7 მოვიგეთ.



იმისათვის, რომ მეტოქეებს შანსი არ ჰქონოდათ, ქართულ ფრენჩაიზს ლეოპარდსი უნდა დაემარცხებინა. ამასთან, 4 ლელოს გატანით ბონუსიც აეღო. ქართველებმა ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი. თუმცა, მეტოქე კერკეტი აღმოჩნდა და გუნდს მიზნის მისაღწევად როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, გვარიანი მუშაობა მოუწია.

შავი ლომი ცდილობდა, უპირატესობისთვის როგორც ძალისმიერი, ასევე ხელდახელ თამაშით მიეღწია და ეს გამოუვიდა კიდეც.

მასპინძლებს მატჩის დებიუტში ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ჯარიმიდან დარტყმული არაზუსტი იყო. მე-10 წუთზე ქართველების ჯერი დადგა, შერკინებიდან ბურთი ლაშა ლომიძეზე გავიდა, მან იერიში ლუკა მატკავა ჩართო, შემდეგ აკა ტაბუცაძემ გააგრძელა, ხოლო ლელოში ბურთი მირიან მოდებაძემ შეიტანა.

28-ე წუთზე ბურთი მოლის შემდეგ ხაზზე გაიშალა და ბოლომდე ჩათამაშდა, სადაც მეტობით დემურ თაფლაძემ ისარგებლა და ლელო ალამთან

მე-2 ტაიმის დასაწყისში შავმა ლომმა კარგი მოლი თავად დააყენა, რომელმაც ღერძი იცვალა და თენგიზ ზამთარაძემ ლელო დაამიწა, ხოლო მატკავამ გარდასახა. აფრიკელებმა მოლის შემდეგ გატანილი ლელო-გარდასახვით სხვაობა 3 ქულამდე კიდევ ერთხელ დაიყვანეს. შავ ლომს ბონუსისთვის კიდევ ერთი ლელო სჭირდებოდა, ჯარიმები კარში არ დაარტყა, 59-ე წუთზე მოლი თავად ააგორა და ამჯერად ლელოთი ნიკა პატარაიამ დაასრულა. მატკავა გარდასახვიდან ზუსტი იყო.

ლეოპარდსი არ დანებდა და დასკვნითი 20 წუთი შეტევებში გაატარა. 65-ე წუთზე კოკი თხილაიშვილი სინბინით დაისაჯა და კაცნაკლული დავრჩით, მაგრამ თავგანწირული დაცვა ვითამაშეთ და გავძელით, 24:14 გავიმარჯვეთ და ფლეი ოფში თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

რადგან მდევარმა იგლზმა დიდი სხვაობით მოიგო და გატანილ-გაშვებული ბურთების უკეთესი სხვაობა შეიქმნა, შავი ლომი მე-4 ადგილზე გავიდა და 18 ივნისს ნახევარფინალში გრიფონსს ეთამაშება.

# შედეგები

## 11 ივნისი

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა თასი**

**ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-იტალია | 0:0 |
| უნგრეთი-გერმანია | 1:1 |
| ნიდერლანდები-პოლონეთი | 2:2 |
| უელსი-ბელგია | 1:1 |

**ბ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უკრაინა-სომხეთი | 3:0 |
| ირლანდია-შოტლანდია | 3:0 |
| რუმინეთი-ფინეთი | 1:0 |
| ჩერნოგორია-ბოსნია | 1:1 |

**ც დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფარერები-ლიეტუვა | 2:1 |
| ლუქსემბურგი-თურქეთი | 0:2 |

**კონკაკაფის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| აშშ-გრენადა | 5:0 |
| მექსიკა-სურინამი | 3:0 |

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| კამბოჯა-ჰონკონგი | 0:3 |
| ავღანეთი-ინდოეთი | 1:2 |
| სინგაპური-ტაჯიკეთი | 0:1 |
| მიანმა-ყირგიზეთი | 0:2 |
| ნეპალი-კუვეიტი | 1:4 |
| ინდონეზია-იორდანია | 0:1 |
| ბანგლადეში-თურქმენეთი | 1:2 |
| მალაიზია-ბაჰრეინი | 1:2 |
| მონღოლეთი-ფილიპინები | 0:1 |
| იემენი-პალესტინა | 0:5 |
| შრი ლანკა-ტაილანდი | 0:2 |
| მალდივი-უზბეკეთი | 0:4 |

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პანამა | 5:0 |

**ეჩ-2023. საკვალიფიკაციო ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| უელსი-ნიდერლანდები | 0:1 |
| გიბრალტარი-ბულგარეთი | 1:1 |
| ისლანდია-კვიპროსი | 5:0 |
| პორტუგალია-საბერძნეთი | 2:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

**ფლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ხირონა-ტენერიფე | 0:0 |

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. კვერცხების ვარგისიანობის შემსწავლელი ელექტროხელსაწყო; 3. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. მსუსხავი ბალახი; 5. ღვინისა და დროსტარების დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 21. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 23. გერმანიის კანცლერი.

**თარაზულად:** 6. სიცოცხლით სავსე, მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 22. ყირგიზეთის დედაქალაქი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. ღია ცის ქვეშ დანთებული დიდი ცეცხლი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხულა; 2. ჯრუჭი; 3. იუანი; 4. რკინა; 5. ლაქშმი; 6. ვალენიტი; 8. უსახელაური; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პუშერი; 15. ორანი; 16. ქანდა.

**თარაზულად:** 1. ხანჯალი; 4. როლგანგი; 7. ლოლუა; 9. ციცქა; 12. ფირუზი; 13. კასიო; 14. პერესი; 17. ხამონი; 18. ტოლერანტობა; 19. ხითხითი; 20. ნატალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მავრები; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. მიშელი; 11. მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. პარმიტანო; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ამური; 23. ატენი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. რიგოლეტო; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. დანია; 20. ჩონგური; 22. დიადემა; 24. იმნაძე; 25. მაშავერა; 26. ვანილი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


13 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.9622 |
| ევრო | — 3.1382 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.6865 |
| 100 რუსული რუბლი | — 5.0877 |

**ამინდის პროგნოზი 13 ივნისისათვის**




## ლევანდოვსკი და ბარსელონა კონტრაქტზე შეთანხმდნენ



ბარსელონა და რობერტ ლევანდოვსკი კონტრაქტზე შეთანხმდნენ, რომელიც 4-წლიანი იქნება და ლევანდოვსკის წლიური ანაზღაურება 12 მილიონს შეადგენს.

ჯერი გუნდებზეა, რომლებიც ჯერჯერობით ვერ თანხმდებიან, რადგან ბაიერნი 50 მილიონს ითხოვს, ხოლო ბარსელონა მხოლოდ 30-ზეა ყაბულს.

სავარაუდოდ, ბაიერნი მაინც დათმობს პოზიციებს, რადგან მომავალ სეზონში ლევანდოვსკი თავისუფალი აგენტი გახდება.

## ფრენკი დე იონგს ბარსელონას დატოვება არ სურს



ბარსელონას ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა თავის მომავალზე ისაუბრა გუნდში და თქვა, რომ ბარსელონაში თამაში სურს და გუნდის დატოვებაზე არ ფიქრობს.

დე იონგის თქმით, მას ბარსელონაში ყველაფერი აკმაყოფილებს და მომავლის იმედი აქვს:

– ბარსელონას დიდი პერსპექტივა აქვს და მინდა, რომ ამ ყველაფრის ნაწილი ვიყო. გადაწყვეტით თქმა არ შემიძლია, მაგრამ რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ აქ დავრჩე.

## ზიდანი პსჟ-ს მწვრთნელი გახდება



ზინედინ ზიდანი უკვე თითქმის შეუთანხმდა პსჟ-ს თავისი კონტრაქტის თაობაზე და შესაძლოა ის მალე ოფიციალურად დაინიშნოს ახალ თანამდებობაზე.

თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ზიდანი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი იქნება და მისი ხელფასი, სავარაუდოდ, წელიწადში 20 მილიონს შეადგენს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გაიგე, ახალი საშინელებათა ფილმი გამოსულა?

– რა ფილმი?

– „სიდედრების კუნძული“...

●●●

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– კურორტზე რომ ვისვენებდი, ერთმა კაცმა პირველ დღეს ხელზე გადამისვა ხელი. მეორე დღეს იდაყვზე. მესამე დღეს, მხარზე რომ დამადო ხელი, ველარ მოვითმინე და ვუთხარი: „თქვენ რა, ფიქრობ, რომ მე აქ ნახევარი წლით ვარ ჩამოსული?“

●●●

ერთი ნათესავი მეორეს ეკითხება:

– რას აკეთებ ისეთს, რომ ასე დაღლილი გამოიყურები?

– ტელევიზორს ვუყურებ, ვჭამ, კომპიუტერში ვთამაშობ, აბაზანაში ვწვები, ვმღერივარ, მძინავს...

– თავი სულ არ გეცოდება?..

●●●

პარაშუტით ხტომის ინსტრუქტორს მამაკაცი ეკითხება:

– რა ღირს პარაშუტით გადმოხტომა?

– 500 ლარი.

– რა ამბავია, და პარაშუტი რომ არ გაიხსნას?

– ფულს დაგიბრუნებთ.

●●●

დილით პლაჟზე დამტარებელი მიდის და იძახის:

– აბა, ცივი ლუდი, ცხელი ხინკალი.

საღამოს:

– აბა, ცხელი ლუდი, ცივი ხინკალი.

●●●

უცხოელი ტურისტი კანფეტ „ჩიტის რძის“ დანახვაზე ადგილობრივს ეკითხება:

– რა, თქვენთან ჩიტებს წველიან?

– ჩვენთან ყველას წველიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დავით დოიაშვილმა და ბასა ჯანიკაშვილმა 200.000 ლარი მოიპოვეს



რეჟისორმა დავით დოიაშვილმა და დრამატურგმა ბასა ჯანიკაშვილმა 200.000 ლარი მოიპოვეს.

ბიზნეს პროექტში „შარქ თენქ საქართველო“ მათ ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე მიუზიკლის შექმნისთვის 5 ინვესტორისგან – პავლე მგელაძისგან, ილია წულაიასგან, ქეთი ქვარცხავასგან, დაჩი ჭოლაძისგან და სოსო ფხაკაძისგან 200 000 ლარის ინვესტიცია 10%-იანი წილის სანაცვლოდ დაიმსახურეს.

ირაკლი ჩარკვიანის მუსიკაზე მიუზიკლი ვასო აბაშიძის სახელობის ახალ თეატრში დაიდგმება.

## „რანინამ“ 4 ფინალისტი გამოავლინა

მუსიკალურმა შოუმ „რანინა“ ტრადიცია დაარღვია და მეხუთე, საიუბილეო სეზონზე 3-ის ნაცვლად 4 ფინალისტი დაასახელა.

ნახევარფინალის ჟიურის წევრები იყვნენ დათო ცინცაძე, დავით ევგენიძე და ნატო მეტონიძე. მათი შეფასებით, „რანინას“ ფინალისტები გახდნენ მარიამ ბიგვავა, ოთო ბაზერაშვილი, ვაჩე ღვინიაშვილი და ნიკოლოზ ხარატი. ნახევარფინალიდან გამარჯვებისთვის ბრძოლას ალისა ფარულავა და სანდრო კვაჭაძე გამოეთიშნენ. „რანინას“ გამარჯვებული საქართველოს საბავშვო „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

## რამაზ იოსელიანი საუკეთესო მსახიობად დასახელდა



მსახიობი რამაზ იოსელიანი მონღოლეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე საუკეთესო მსახიობად დასახელდა.

ქართველმა მსახიობმა რჩეულის წოდება მოიპოვა სპექტაკლში „ჩარეცხილები“ შესრულებული როლისთვის.

სასიხარულო ინფორმაცია ფოთის თეატრის ხელმძღვანელმა თენგიზ ხუხიამ გაავრცელა.

## თიკა ჯამბურიას ლანძღავენ



მომღერალ თიკა ჯამბურიას ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში სტუმრობა ნერვების ფასად დაუჯდა. მას სრულიად უცხო ადამიანები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ და უშვერი სიტყვებით ლანძღავენ:

– რამდენიმე დღის წინ ვიყავი „რუსთავი 2“-ის დილაში სტუმრად. სრულიად შემთხვევით მომიწია კოტლეტის და პიურეს გაკეთება პირდაპირ ეთერში. ვინც მიცნობს იცის, რომ კულინარია ჩემი გატაცებაა და ვგიჟდები, ისე მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ დედა საოცარი მზარეულია უბრალოდ, რეკლამის დროს გადავწყვიტე დამერეკა და მისგან რჩევები მიმეღო. ამ დროს გადაცემის პროდიუსერმა უწყინარი ვიდეო გადამიღო და მათ გვერდზე ატვირთა. თან მეცინება, რომ ამის ახსნა მიწევს და ისეთები ხდება კომენტარებში, გამოქვეყნება გადავწყვიტე. იქნებ ამ ადამიანების შვილებმა ან ახლობლებმა ნახოთ, იქნებ თქვენც, ვინც ამას კითხულობთ, გადააზიაროთ და გაავრცელოთ, რომ მივიდეს იქნებ რომელიმეს ოჯახამდე და ერთხელ და სამუდამოდ ბოროტება გახდეს სირცხვილი და ეს ხალხი შერცხვენილები მაინც იყვნენ ახლობლების წინაშე და გაიგონ, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან სირცხვილია, ადამიანებო! ასე ილანძღოთ და ამხელა ღვარძლი ამოანთხიოთ სრულიად უწყინარ ვიდეოზე.

მესმის, რომ რთული ცხოვრება გვაქვს, მესმის, რომ ყველას თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ, კარგით რა, ასე რამ გაგაბოროტათ და ასე რამ გაგაგიჟათ ხალხო!

პ.ს. იმ ადამიანების საყურადღებოდ, ვინც თვლის, რომ უნდა „დავიკიდო“ და ყურადღება არ მივაქციო – არა, ხალხო, არ ჭრის ეგ ტაქტიკა, უარესად გიშვებიან მერე და ამიტომ ჯობია გავასაჯაროვოთ ეს ხალხი და იქნებ მერე შერცხვეთ მაინც და დაოკდნენ. ხო და კიდევ, ძალიან საწყენია, რომ 400 კომენტარიდან თითქმის ყველა დედის ტოლა ქალები არიან. ქალები, რომლებსაც ჩემხელა შვილები ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, საკუთარი შვილების დასაცავად ნებისმიერ ადამიანს კბილებით გაძიძგნიან, ხოდა, რა ვიცი, ისე იცოდეთ, მეც ცოცხალი ადამიანი ვარ და მეც მაქვს გრძნობები, ემოციები და ძალიან, ძალიან მწყინს ეს ნეგატივი თქვენგან.

## ნანა ჯანელიძე ახალ ფილმზე მუშაობს



რეჟისორი ნანა ჯანელიძე ახალ ფილმზე მუშაობს. მან უკვე დაასრულა ახალი, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღებები და მონტაჟი. ამჟამად ფილმი იმყოფება ტონირების პერიოდში.

ფილმში „იარე, ლიზა“ ჩართულია 2დ ანიმაციის ფრაგმენტები, რაც მას მეტად უჩვეულოს ხდის. მთავარი გმირი ჟურნალისტი ქალია, რომელიც 25 წლის წინ რეპორტიორად მუშაობდა აფხაზეთის ომში. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ეკატერინე ტოგონიძე და ნინა ერაძე. სცენარს საფუძვლად უდევს მისი თანაავტორის – ლია ტოკლიკიშვილის გამოცდილება, რომელიც თავად მუშაობდა ომის რეპორტიორად აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

„იარე, ლიზა“ გადაღებულია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, იგი საქართველო-ბულგარეთის კოპროდუქციაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ანდრია გველესიანი როლიდან მოხსნეს



ახმეტელის თეატრის მსახიობი ანდრია გველესიანი როლიდან მოხსნეს.

ამის შესახებ ინფორმაცია ანდრიამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– „აპარტე“ ყველაზე ნაკლებად მიყვარს სპექტაკლში.. თუმცა ეს აპარტე გამოვიყენე სიმართლის სათქმელად ჩემი საყვარელი მაყურებლის წინაშე: ვისაც ბოლო თვეებია ჩემთან ურთიერთობა აქვს, აბსოლუტურად ყველამ იცის, რომ ჩემს თეატრში იგეგმებოდა ახალი სპექტაკლი ტიტუს ანდრონიკუსი, რომელსაც დადგამდა უკრაინელი რეჟისორი და სადაც მე ვითამაშებდი ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან როლს. ყველამ იცის იმიტომ, რომ მე ამ საქმით ვარ მოწამლული, ყველაზე მეტად მიყვარს, ყველაზე დიდ ენერგიას – ოფლს, სისხლს და ცრემლს ვდებ ჩემს თეატრში და, რა თქმა უნდა, ძირითადად სულ თეატრის გეგმებზე ვსაუბრობ.

და ხდება ის, რაც 29 წლის მანძილზე მე არ განმიცდია. სრულიად უსამართლოდ, აბსურდული მიზეზებით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, ეს რეჟისორი მათავისუფლებს როლიდან. სიურპრიზად ხალხის თვალწინ.

რეჟისორი, რომელიც ერთი თვით ადრე მითანხმებდა გრიმს, ხედვებს და სპექტაკლის ყველა დეტალს. მისთვის თურმე ყველაზე დიდი დანაკარგი ვიქნები, რადგან სურდა მთელი სპექტაკლის ამ გმირზე აწყობა, მაგრამ...

არასდროს არ მქონია ამხელა უსამართლობის განცდა პროფესიულ ჭრილში და დავიფიცე, რომ ამას არავითარ შემთხვევაში არ გავატარებდი.

ხოლო ეს აპარტე გამოვიყენე სწორი დანიშნულებით, რაც მსახიობის სრულ გულწრფელობას მოიცავს.

უბრალოდ მინდა გითხრათ და გთხოვოთ, რომ არასდროს დახუჭოთ თვალი უსამართლობაზე არც თქვენ მიმართ და არც სხვების მიმართ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



**13 ივნისისათვის**

**ვერძი** – ეს დღე გამოირჩევა შინაგანი თავისუფლებითა და სიცოცხლის სიხარულით. შინაურებისადმი ნდობა ძალას გმატებთ. **კურო** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა ხანგრძლივი მოგზაურობისა და მივლინებებისათვის, საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში ჰარმონიას ინარჩუნებთ. გრძელვადიან გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **ლომი** – კარიერაში წინსვლა შეინიშნება. თქვენი ტალანტი და კომუნიკაბელურობა სათანადოდ დაფასდება. **ქალწული** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. საყოფაცხოვრებო პრობლემებს მშვენივრად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – მშვიდად ხართ. ერთადერთ დისკომფორტს ახლობელთან გაუგებრობა შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – სიახლისადმი სწრაფვა სარისკო ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – გიმახვილდებათ ინტუიცია. ენერგია დაზოგეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **მერწყული** – მომავალს უშეცდომოდ ჭვრეტთ. პრობლემებს წარმატებით გადაჭრით. **თევზები** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ ვარგა. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ქართველი უფოლოგი; 3. საშობაო სიმღერა; 4. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 5. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 6. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 8. „ფეისბუკის“ დამფუძნებელი; 10. შაქრით შეზავებული, არომატიზირებული მოდუღებული წითელი ღვინო; 11. ტრაგედიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. აეროპორტი ლონდონში; 15. მონასტერი ახალციხის რაიონში; 16. ქართული უვადო ხმალი.

**თარაზულად:** 1. სოფლის შარაგზა; 4. ფრანგული სამხედრო, ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 7. ლუკ ბესონის ფილმი; 9. ყველაზე დიდი მდინარე ევროპაში; 12. მაღალზურგიანი დივანი; 13. კანიონი ხონის რაიონში; 14. ისტორიული სამთავრო აღმოსავლეთ საქართველოში; 17. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 18. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 19. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 20. ქართველ ქალთა ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

